# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 ივნისი, 2011 წელი.

№119 (6730)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე – გიგისთვის შეწირული



5

ჟურნალისტური გამოძიება



## დაისაჯოს ის, ვინც დამნაშავეა კანონის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე!

7

## შეკითხვა მკითხველს: იცით როდის შეიქმნა ზღაპარი ქართულ პატრიოტიზმზე?



## წითელი ბარათი საქართველოსთვის

3

## „გამქვსიანებული „რვიანი“

2

ოპერაცია „ენვერის“ ლოგიკური ბმული - „ყინწვისის მებრძოლებიც“ აღიარებენ, მაგრამ არ იციან - რას

## ხელისუფლებას ყველაზე მეტად საარჩევნო ბიულეტენით შეიარაღებული მოქალაქე აშინებს

4



## დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი?

4

## ნუთუ მართლა ამდენი მტერი და მოღალატე ჰყავს ქვეყანას?!



6

## როგორ ავიცილოთ კატასტროფები

9

ფოთი მეტ ყურადღებას იმსახურებს

## თუ არსებული სიტუაცია დიდხანს გაგრძელდა, სამოქალაქო დაპირისპირებას არ გამოვრიცხავ

3



პარტიებსა და მოძრაობებში

# „გაექვსიანებული „რვიანი“



**ყოფილ „რვიანში“ შემავალმა ოპოზიციურმა პარტიებმა 27 ივნისს გამართულ ბრიფინგზე გაავრცელეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ხანგრძლივი დუმილის, ოპოზიციასთან შეჩერებული მოლაპარაკებების შემდგომ ხელისუფლების წარმომადგენელმა პარასკევს საღამოს პოლიტიკური რვიანის ერთ-ერთ წევრს კონსერვატიული პარტიის ლიდერს ზვიად ძიძიგურს წარუდგინა საკუთარი წინადადებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, რაც მათი თქმით შეცვლას აღარ ექვემდებარება და პასუხი მათზე დღეს უნდა გაიცეს.**

ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯი კვლავ აირჩია ულტიმატუმის, პოლიტიკური ვაჭრობის, შანტაჟის გზად და ფაქტობრივად უარი თქვა პოლიტიკურ დიალოგზე.

ჩვენთვის მიუღებელია პრინციპი „ან დაგვეთანხმეთ ან ჩვენ ჩვენსას მაინც გავიტანთ“. საარჩევნო გარემოს ცვლილება უნდა დაეფუძნოს დაუბალანსებელი საარჩევნო სისტემის გამოსწორებას და არა არასრულყოფილ წინადადებაზე დათანხმებული პარტიებისათვის ფულის შეთავაზებას. ასეთ გარიგებაში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის შეთანხმებად, — ამბობს ზ. ძიძიგური. პოლიტიკური პროცესის სწორად წარმართვის ერთადერთ გზად ყოველთვის მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია შეთანხმებების გზა, რათა აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რომელიც საქართველოს საარჩევნო გარემოს უსამართლობას განაპირობებს.

ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ სამართლიანი არჩევნებისთვის და ამ გზით ხელისუფლების შესაცვლელად. ერთად ამ ბრძოლას გადავაქცევთ ფართომასშტაბიან სამოქალაქო მოძრაობად „თავისუფალი არჩევნებისთვის“ და ხალხთან ერთად მივაღწევთ გამარჯვებას.

ამ განცხადებას ხელს აწერენ ეროვნული ფორუმი, თავისუფალი დემოკრატები, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, საქართველოს გზა, ხალხის პარტია.

როგორც ვხედავთ ამ ჩამონათვალში არ არიან ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და ახალი მემარჯვენეები. ის თუ რამ გამოიწვია ამ ორი პოლიტიკური გაერთიანების მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ზრუნვაზე უარის თქმა, საკმაოდ მრავალ კითხვას ბადებს. ამ კითხვებზე პასუხს ალბათ დროთა განმავლობაში მივიღებთ, დროთა განმავლობაში, რადგანაც დღეს ორი პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერებთან ამ თემაზე საუბრის შემთხვევაში მივიღებთ საკმაოდ სტანდარტულ პასუხებს:

— კონკრეტულ მიზეზს შემდეგ დავასახელებთ, ან დაველოდებით პროცესების განვითარებას.

თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლების დამოკიდებულებას საქართველოში მიმდინარე ნებისმიერ პროცესის მიმართებაში, „ექვსიანი“ მალე „ოთხიანი“ გახდება და სრულიად მოსალოდნელია რომ არჩევნების წინ ის „ერთიანი“ დარჩეს, რომელსაც ცესკოსგან ნომერი „5“ აქვს მინიჭებული.

ქრისტიან-დემოკრატებისა და ახალი მემარჯვენეების მიერ გადადგმული ნაბიჯი, მიატოვოს ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი „რვიანი“, ან ჩაძირული გემიდან „ვირთხების გაქცევის“ პოლიტიკური ვარიანტია ან ხელისუფლების მიერ მოწოდებული „ახალი ინიციატივების“ დასაწყისი.

არადა პოლიტიკურმა რვიანმა 26 ივნისს ნაციონალური მოძრაობის მიერ შემოთავაზებულ საარჩევნო წინადადებებზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, რომელშიც ძირითადად „გაუგებარი იყო“ ხელისუფლების მხრიდან არა თავად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, არამედ „საარჩევნო ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების ხაზგასმულად წინ წამოწევა.

აქედან გამომდინარე, რამდენად შეცვლის „საარჩევნო გარემოს“ „ექვსიანად“ დარჩენილი, ან უკვე ყოფილი „რვიანი“, ფრიად საინტერესოა!

**ირინა ოზოლაშვილი**

პოზიცია

# თანადგომას ვუცხადებთ!

**ხელისუფლების მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული და ულტიმატუმის ფორმით „რვიანისათვის“ შეთავაზებული წინადადებები სხვა არაფერია, თუ არა ნაციონალებისთვის დამახასიათებელი თვალთმაქცობის, უპასუხისმგებლობის, ცინიზმის, მოსყიდვის, შანტაჟის ნაზავი. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს პარლამენტის 150 დეპუტატით დაკომპლექტების შესახებ ხალხის მიერ რეფერენდუმის გზით გამოხატული პოლიტიკური ნების იგნორირება, საარჩევნო ბარიერის გადალახვის შემთხვევაში მილიონის შეთავაზება არა ნებისმიერი, არამედ მაინცდამაინც შეთანხმებაზე ხელმომწერი პარტიისთვის, რაც მოსყიდვის აშკარა მცდელობაა და ა. შ.**

**თავისი უკანონო, უზნეო და, ამდენად, მიუღებელი წინადადებებით ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ჩაშალა მოლაპარაკებათა მრავალთვიანი პროცესი.**

**სამწუხარო და დასანანია, რომ „რვიანის“ ორმა სუბიექტმა, „ახალმა მემარჯვენეებმა“ და „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ვერ გაუძლეს ბრძოლის სიმძიმეს, ვერ შეძლეს სათანადო პასუხისმგებლობისა და სიმტკიცის გამოჩენა და მიიღეს ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ფასადური, ზნეობისა და კანონისაგან შორს მდგომი წინადადებები, რომლებიც გამორიცხავს საქართველოში მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.**

**მივიჩნევთ, რომ იმ პარტიების გადაწყვეტილება, რომლებმაც არ დათმეს პრინციპები, არ დაუშვეს ზნეობრივი კომპრომისი, არ მიიღეს ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული წინადადებები და ყველა კონსტიტუციური მეთოდით აგრძელებენ პრინციპულ და მიზანდასახულ ბრძოლას სამართლიანი საარჩევნო გარემოს მოსაპოვებლად, არის სწორი გადაწყვეტილება და, ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი მხარდაჭერის შემთხვევაში, შეიცავს წარმატების მაღალ ალბათობას.**

**თანადგომას ვუცხადებთ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას საარჩევნო გარემოს პრინციპული გაუმჯობესებისთვის.**

**„ქართული აკადემია“, თავის მხრივ, გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს სამართლიანი არჩევნებისთვის ბრძოლის წარმატებით დასასრულებლად.**

**ამასთან, აუცილებლობად მიგვაჩნია ხელისუფლების მიერ პროცესის ფაქტობრივი ჩაშლის შესახებ სრულფასოვანი და ობიექტური ინფორმაცია სამართლებრივი ექსპერტიზისა და პოლიტიკური შეფასებისთვის ოპერატიულად მიეწოდოს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და პარტნიორი ქვეყნების მთავრობებს.**

**„ქართული აკადემია“**
27.06.2011.

SIC!

# ევროპელები სააკაშვილს „რუსთაველის პროსპექტის მთავარსარდალს“ უწოდებენ!

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის ევროპაში გამგზავრებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ზოგიერთი მის ვიზიტს ქვეყნიდან გახიზვნას, თავშესაფრის ძიებას უკავშირებდა, რაზეც ბრიუსელიდან დაბრუნებულმა ბურჯანაძემ თავად გასცა პასუხი. მედიასთან შეხვედრაზე მან 27 ივნისს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-სა და „იმედის“ წარმომადგენლების არყოფნას ხელისუფლების მიერ ობიექტური სიმართლის გავრცელების ხელისშეშლა უწოდა.**

მისივე თქმით — ევროპაში ვიზიტის ამოცანა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმირება იყო. მე თან მქონდა ხელისუფლების მამხილებელი ვიდეო და აუდიო მასალა. ის იტყუება, როცა ამბობს: მზადდებოდა შეიარაღებული დაპირისპირებაო, ლიდერებმა მომიტინგეები მიატოვესო და ა. შ. მე მათ წარვუდგინე სქემა, რითაც მჟღავნდება, რომ 26 მაისი იყო წინასწარ დაგეგმილი სადამსჯელო ღონისძიება, — აცხადებს ის.

ნინო ბურჯანაძე ბრიუსელში ყოფნისას შეხვდა ბელგიის როგორც მმართველი ძალის, ისე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელს. ასევე, სამხრეთ კავკასიის ჯგუფის, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებს, ევროპული საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელს, რომელთაც სთხოვა ეუთოს საპარლამენტო სხდომაზე მოსმენის გამართვა საქართველოში დემოკრატიის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე და საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის შექმნა ბოლოდროინდელ მოვლენებზე, რაზეც პირობაც მიუღია — გამოცა საქართველოს პრეზიდენტის დაუგეგმავმა ჩასვლამ ბრიუსელში, იგი ჩემს კვალდაკვალ, ხანაც წინ, ხანაც უკან დარბის დერეფნებში, რათა არ შემხვდნენ. ევროპაში თანდათან ესმით, რომ სააკაშვილის სახით დაიბადა დიქტატორი, პირად საუბრებში კი მას რუსთაველის მთავარსარდალს უწოდებენ — დასძინა ბურჯანაძემ.



მან ასევე ისაუბრა ოპოზიციურ „რვიანზე“, ისინი ხელისუფლების ვადის გახანგრძლივებაში დაადანაშაულა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკუთარი ხედვა წარმოადგინა: თავისუფალი მედია, თავისუფალი ბიზნესი, თავისუფალი სასამართლო, დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია, სამართლიანი და დემოკრატიული, დამოუკიდებელი პოლიცია.

ბურჯანაძემ თავის ოჯახზეც გააკეთა განცხადება. მისი თქმით — ხელისუფლება ტერორისტივით იქცევა და ამიტომაც არ ვაპირებთ მძევლად ჩავბარდეთ. ჩემი მეუღლის დისკრედიტაზაცია მაღალ ეშელონებში განიხილებოდა. მას ეს ხელისუფლება ვერაფერს დაუმტკიცებს. იგი მოქმედებდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში. როცა ამბობენ მართალი ადამიანები ქვეყნიდან არ გარბიანო, ეს არის დემაგოგია.

ხელისუფლებამ სწორი პიარსტრატეგიით შეიმუშავა ის, რომ რაც კარგი კეთდება, თითქოს მხოლოდ პირადად სააკაშვილის დამსახურებაა, ხოლო ცუდი — სხვა ყველა დანარჩენისა! თურმე, ევროკავშირის ბრალი ყოფილა ხორცის კრიზისი ქვეყანაში...

ვპირდები სააკაშვილს, რაც არ უნდა ირბინოს, 26 მაისის შედეგს მოიმკის ევროპის ახალი დიქტატორის სახელით“!

ბურჯანაძე კვლავ გეგმავს მოკლევადიან ევროპულ ტურნეებს. სექტემბრიდან კი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას აპირებს.

**გულნაზ გახარია**

ჯაშუშომანია

# „ყინწვისის მებრძოლები“ აღიარებენ, მაგრამ არ იციან — რას

**ოპერაცია „ენვერის“ სასამართლო პროცესიც მალე დასრულდება. 9 ადამიანი განაჩენს ელოდება. როგორც უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, პატიმრები საპროცესო შეთანხმებაზე თანახმანი არიან, ვაღიარებთ დანაშაულს, მაგრამ გვითხარით, რა ვაღიაროთო, — ამბობენ თურმე სასოწარკვეთილნი. ეს ყოველივე კი იმაზე მიანიშნებს, რომ სასამართლოს მტკიცებულება არ აქვს და მხოლოდ აღიარებაზე ამყარებს იმედს. 30-იანი წლების ცნობილი პროკურორი ვიშინსკი ამბობდა „აღიარება მტკიცებულებათა დედოფალიაო“, მაგრამ იურისტებმა კარგად იციან, რომ საქმეს მხოლოდ მტკიცებულებები თუ გაამყარებს.**

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „ყინწვისის საქმესთან“ დაკავშირებით ერთ-ერთ პატიმარს ვარლამ ჩარკვიანს იცავს. სულ 24 პირია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დადანაშაულებული. მათ 5-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. საზოგადოებამ იხილა რამდენიმე აღიარება, მაგრამ, როგორც ადვოკატი ამტკიცებს, ეს არ იყო გულწრფელი და არც რეალური მონანიება. **„არც ერთი ეს აღიარება სანდო არ არის. ჩემს კლიენტს პირველივე დღესვე ჩამოვართვი ჩვენება, მაგრამ, მართალი გითხრათ, მან ჩემგან გაიგო, ვიღაც რუსები რომ უნდა შემოსულიყვნენ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი 40 წლისაა, „იოგის“ ცნობილი სპეციალისტი, მხატვარი. მან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა „არწივს“ დროშა დაუხატა.**



**სულ ეს იყო მისი ამ ხალხთან კავშირი და არანაირ გადატრიალებაზე მას არასოდეს უსაუბრია“.**

ამის მიუხედავად, ის დღეს დანაშაულს აღიარებს და საპროცესო გარიგებაზეც თანახმაა. პროკურატურა კი მას ამის სანაცვლოდ პატიმრობის ვადის განახევრებას ჰპირდება. ნიკოლაიშვილი ირწმუნება, რომ პატიმრებისგან ასეთი გულწრფელი აღიარება არაადამიანური მოპყრობით, შეურაცხყოფით, წამებით, დაშინებით მოახერხეს. ზოგიერთს სახეზეც კი ეტყობა დაზიანებები. **„ყველა კლიენტთან შევიდნენ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის პროკურორები და არაოფიციალურად შესთავაზეს საპროცესო შეთანხმების გაფორმება. რაც იმას მიანიშნებს, რომ მათთვის „აღიარება“ საკმარისია ამ ოპერაციის გასამართლებლად, რაც შეეხება მტკიცებულებებს, საქმის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ისინი ბრალეულობას ვერ დაამტკიცებენ“.**

გელა ნიკოლაიშვილი არ ამბობს, რომ აბსოლუტურად ყველა უდანაშაულოაო, — **„ზოგიერთი მართლაც მონაწილეობდა რაღაც გადატრიალების დაგეგმვაში, ზოგიერთი აშკარად შეგზავნილი იყო, მაგრამ 3-4 კაცი, დანარჩენები აბსოლუტურად უდანაშაულოები არიან“.** რაც შეეხება სატელეფონო ჩანაწერებს, რომელიც გახდა საქმის აღძვრის მიზეზი; ნიკოლაიშვილის მტკიცებით, ისინი რეალურად ლაპარაკობენ, მაგრამ ეს ყველაფერი წინასწარ დაკვეთით ხდებოდა. **„დღეს პირველკლასელმაც კი იცის, რომ ტელეფონები ისმინება. სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავ და ამაზე ასე გაშიფრულად და თამამად ტელეფონით როგორღა საუბრობ?!“,** — ამბობს ის.

ადვოკატი **ელგუჯა ჩხაიძე,** რომელიც პატიმარ ირაკლი ჩარბაძეს იცავს, იმავეს ამტკიცებს, რასაც გელა ნიკოლაიშვილი. **„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს პირობითი სასჯელი ჰქონდა. როგორც კი თბილისში არეულობა დაიწყო, მეგობართან ერთად წავიდა ყინწვისის მონასტერში, იფიქრა, ამ მოვლენებს გავერიდებიო და უარესი დაემართა. პირველივე ჩვენებაში აღიარა, რომ აზრზე არ იყო, ვინ რეკავდა, რას რეკავდა. სხვათა შორის, ის „კამაზის“ მძღოლებიც იმავე დღეში არიან. როგორც კი პროკურატურამ დაპატიმრებულთა ჩვენებები ნახა, სპეცრაზმელებმა ყველა ერთად შეკრიბა. დაკითხვაზე მყავდა ჩემი კლიენტი, შემოვარდნენ, ამას არ უსმინო, ეს დაგლეჯავსო და გაიყვანეს. როგორც იცით, ყველანი დაიყოლიეს, რომ აღიარებითი ჩვენება მისცენ, რის სანაცვლოდაც არწმუნებენ, რომ სასჯელს გაუნახევრებენ, ან დანარჩენი ნახევარი პირობითი სასჯელი ექნებათ მოსახდელი. კლიენტებს ვეუბნებით, რომ სასამართლომდე როგორი ჩვენებაც არ უნდა მისცენ, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რას იტყვიან სასამართლოზე“,** — ამბობს ადვოკატი.

თუმცა ის მუქარაც უნდა გავითვალისწინოთ, რასაც პატიმრებზე ახორციელებენ. თავად უფლებადამცველები ამტკიცებენ, რომ დაშინება სერიოზულია. „აღიარებთ? — მალე გამოხვალთ, თუ არა — აქ ამოლპებითო“, — იმუქრებიან ბრალმდებლები და პატიმართა უმეტესობა საპროცესო გარიგებას აპირებს...

**ე. წ. „ყინწვისის მებრძოლებს“ სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოეწყოთ, მაგრამ საქმეში არ ჩანს არანაირი წინაპირობა, რომელიც ასეთ დროს აუცილებელია: იარაღის შეძენა, ბაზების შექმნა და ა. შ. საქმე ძიებაშია. ბრალდება არ არის კოლექტიური, არამედ ის ინდივიდუალურად აღძვრეს თითოეული პირის მიმართ. სასამართლო პროცესი ივლისის შუა რიცხვებშია ჩანიშნული, სადაც კარგად უნდა გამოჩნდეს რასთან გვაქვს საქმე? — მითთან თუ რეალობასთან, მაგრამ ამას ნდობით აღჭურვილი მოსამართლე გაარკვევდა, რომელიც ასე ვთქვათ, ჩვენში თითქმის არ არსებობს...**

**თეა მოსია**

◎ განსჯა

# თუ არსებული სიტუაცია დიდხანს გაგრძელდა, სამოქალაქო დაპირისპირებას არ გამოვრიცხავ



**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს გიორგი ხუციშვილს**



**— ბატონო გიორგი, თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ქდმ-დან ინგა გრიგოლიამ ხმელნიცკის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომლის დროსაც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებმა საზოგადოებასთან მისულ ქდმ-ს ლიდერებს შეხვედრის შეწყვეტა და ხალხის დაშლა მოსთხოვეს, „ნაცმოძრაობა“ ხალხის ტერორში დაადანაშაულა და ხელისუფლებისგან საზოგადოებაზე ზეწოლის შეწყვეტა მოითხოვა. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ქალბატონ ინგა გრიგოლიას მიერ ხელისუფლებისადმი წაყენებული ბრალდება?**

— ხელისუფლების მხრიდან ასეთი ჩარევა და ხელშეშლა სრულიად დაუშვებელია. პოლიტიკური პარტიების საკონსტიტუციო უფლებაა საზოგადოებასთან შეხვედრების გამართვა და არავის არა აქვს უფლება, ამ პროცესში ჩაერიოს, აკონტროლოს იგი და ამაზე ვინმეს, როგორც შეხვედრების ორგანიზატორებს, ისე იმათ, ვინც ამგვარ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო, პასუხი მოსთხოვოს. იმ სახის ჩარევა, რომლის შესახებაც განცხადებები ქალბატონმა ინგამ გააკეთა, მართლაც ჰგავს ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის ტერორს. ამის დაშვება კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

როგორც ჩანს, ჩვენმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ისე გაიგეს კანონში „მანიფესტაციების შესახებ“ შეტანილი ცვლილებები, თითქოს მათ აქვთ სრული უფლება, ჩაერიონ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ სამართალდამცავები და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები ქალაქში შიშის ატმოსფეროს ქმნიან. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია. მესმის ქალბატონ ინგას აღშფოთების და მის მიერ ხელისუფლებისადმი მოწოდებას მხარს ვუჭერ.

**— ლატვიიდან დაბრუნებული გოგა ხაინდრავას შეფასებით, 26 მაისის შემდეგ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური სპექტრი სრულიად უუნარო და გაკოტრებულია. ისინიც კი, ვინც აქტიურობს, მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობის ანტურაჟს ქმნიან. თქვენი აზრით, ოპოზიციური სპექტრის ამგვარი შეფასება რამდენად ახლოს არის რეალობასთან?**

— ჩემთვის ოპოზიციური სპექტრის წევრი პოლიტიკოსისგან ასეთი მკვეთრი განცხადებების მოსმენა მიუღებელია. ვიცით, როგორია ჩვენი საზოგადოება, ოპოზიციური სპექტრი, არ უნდა ვცდილობდეთ ოპოზიციის დისკრედიტაციას. შეძლებისდაგვარად უნდა ვცდილობდეთ მის დაკვალიანებას, გაძლიერებას, გაზრდას და სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებას. ესაა პრობლემა. ჩვენ ვერც ქვეყნის პოლიტიკურ კლასს და ვერც საზოგადოებას ვერ შევცვლით. საუბარი იმაზე, რომ ოპოზიცია უუნაროა და ხელი ჩავიქნიოთ ყველაფერზე, არც გონივრული და არც სერიოზული ნაბიჯი არ იქნებოდა. მაშინ გამოდის, რომ პოლიტიკურ აქტივობაზე უნდა ვთქვათ უარი, ეს კი დაუშვებელია. ეს ჩაუტარებელი არჩევნების შედეგების წინასწარ გამოცხადების ტოლფასია. ამგვარი მიდგომის აზრი არ მესმის. ვთვლი, რომ სანამ არჩევნებამდე საკმარისი დროა დარჩენილი, პოლიტიკური სპექტრი უნდა ჩამოყალიბდეს, გადანაწილდეს, გარკვეული აქტივობა გამოავლინოს და ხალხის მოთხოვნები და აღშფოთება გაითვალისწინოს.

შესაძლოა, იქმნება კიდეც შთაბეჭდილება, თითქოს ოპოზიციური სპექტრი უუნაროა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ოპოზიცია მართლაც უუნაროა. შთაბეჭდილება და სინამდვილე სხვადასხვა რამაა. მათ შეუძლიათ უფრო მეტი აქტივობა, ხალხთან მეტი დაახლოება და არჩევნებამდე იმგვარი პოლიტიკური პლატფორმის მომზადება, რომელიც ხალხისთვის მისაღები და მოსაწონი იქნება. ოპოზიციას ამისთვის დრო ჯერ კიდევ აქვს. არჩევნების მოახლოებამდე თუ მათ ვერაფრის გაკეთება და წარმოდგენა ვერ შეძლეს, მეც ვიტყვი, რომ ოპოზიცია უუნაროა, მაგრამ წინასწარ ამას არ ვიტყვი და ამგვარი დასკვნების გაკეთებას არც სხვას ვურჩევ.

**— ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით თავის წინადადებებს „რვიანს“ სავარაუდოდ მომავალი კვირის ბოლოს წარუდგენს. მას შემდეგ, რაც საარჩევნო თემაზე ხელისუფლების პოზიცია საბოლოოდ გაირკვევა, თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები „რვიანში“ ანაც მასში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებში? ცალ-ცალკე იმოქმედებენ, თუ ერთიან ბლოკად ჩამოყალიბდებიან?**

— „რვიანი“ მაინც გამოიყურება როგორც პარტია, რომელიც გარკვეული ალიანსის შექმნას აპირებს. ამავე დროს, თავად სულ ხაზს უსვამენ, რომ პოლიტიკური ალიანსის შექმნას არ აპირებენ და არიან გაერთიანებული იმის გამო, რომ ერთიანად იმუშაონ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. საზოგადოებაში არის მოლოდინი, რომ ოპოზიცია გაერთიანდება, ერთიან პოლიტიკურ პლატფორმაზე დადგება, ერთიანად იმოქმედებს და ამით გაძლიერდება. ანუ, ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი, რომელსაც უნდა პოლიტიკური ცვლილებები, ხედავს, რომ ეს პარტიები ცალ-ცალკე მეტისმეტად სუსტნი არიან, რათა პოლიტიკური ცვლილებები განახორციელონ. კრიტიკულად განწყობილი ელექტორატი ხვდება, რომ ოპოზიციური პარტიები თუ ერთიანად იმოქმედებენ, მაშინ რეალური ცვლილებების შანსი გაცილებით მეტია. ეს მესიჯი საზოგადოებისგან ამ „რვიანს“ აქვს.

„რვიანი“ ამ მესიჯზე არ რეაგირებს, არადა მათი გაერთიანება არის ერთადერთი შანსი არჩევნებზე გარკვეული შედეგების მისაღებად. „რვიანში“ შემავალი პარტიები რამდენადაც განსხვავებულ პოზიციებზე არ უნდა იდგნენ, უნდა ესმოდეთ, რომ მათი გაძლიერების შანსი ერთიანობაშია. სხვათა შორის, მათი ერთიანობა მათ კიდევ უდრო მეტ მხარდამჭერს შესძენდა. რომ ახლა გამოაცხადონ ალიანსის შექმნისთვის მზადება, ხალხი მათი საქმიანობით კიდევ უფრო დაინტერესდებოდა. თუ „რვიანში“ შემავალმა პარტიებმა ვერ შეძლეს გაერთიანება, საზოგადოების მხრიდან მათთდამი ინტერესი გაცილებით ნაკლები იქნება.

**— „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა — „თუ ნაციონალები არ წავიდნენ, სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყება“. ცხადია, რომ „ნაციონალები“ არსად წასვლას არ აპირებენ. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში „თუ ნაცმოძრაობა ხელისუფლებიდან არ წავიდა“, სამოქალაქო დაპირისპირების ალბათობა მართლაც დიდია?**

— ცნობილია, რომ ალასანია არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის მომხრეა. თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, ეს ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს. ოპოზიცია არჩევნებისთვის მოუმზადებელია და ცხადია, რომ რაც უფრო ადრე ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, მით უფრო იოლად გაიმარჯვებს ხელისუფლება. რაც უფრო გვიან ჩატარდება არჩევნები, ოპოზიციას გამარჯვების მით მეტი შანსი ექნება.

ახლა საინტერესოა, თუ რას აპირებს ალასანია საიმისოდ, რომ ხელისუფლების სიძლიერე შეასუსტოს და ოპოზიცია გაძლიერდეს. მან და სხვა ოპოზიციურმა ლიდერებმა ეს უნდა დაგვანახონ. ოპოზიციამ ჯერ თავად უნდა გააკეთოს ანალიზი, თუ რატომ არის ხელისუფლება დღეს ძლიერი და შემდეგ განსაზღვროს მასთან ბრძოლის ტაქტიკაცა და სტრატეგიაც. რა არის ის, რისი შეთავაზების შემდეგ არჩევნებზე ხალხი მხარს ალასანიას დაუჭერს? ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ის, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წავა თუ არა ისეთი მოქალაქე, რომელიც არჩევნებზე წასვლას არ აპირებდა, ანაც, ვთქვათ, „ნაცმოძრაობისთვის“ უნდოდა ხმის მიცემა. საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლება წავა თუ არ წავა, გაკოტრდება თუ არ გაკოტრდება და ასე შემდეგ, ჯერჯერობით მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩება. ასე იქნება, ვიდრე ჩვენ ოპოზიციის მხრიდან ქმედით ნაბიჯებს არ დავინახავთ. არ დავინახავთ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი მოქმედების პოლიტიკურ პლატფორმას, რომელიც ნაცმოძრაობის პროგრამაზე გაცილებით საინტერესო, გააზრებული, კვალიფიციური და კონკრეტული იქნება.

**— რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ქვეყანამ სამოქალაქო დაპირისპირება თავიდან აიცილოს?**

— თუ არსებული სიტუაცია დიდხანს გაგრძელდა, ამ შემთხვევაში სამოქალაქო დაპირისპირებას არ გამოვრიცხავ. ხალხში დაგროვილია აგრესია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მხარდაჭერა გამოკვეთილი არ არის, ხელისუფლებისადმი აგრესია სწრაფი ტემპებით იზრდება. აშკარაა, რომ ქვეყანაში სოციალური და ყოფითი პრობლემების დაგროვება გრძელდება. საზოგადოებაში გავრცელებულია ნიჰილიზმი იმისადმი, რომ საერთოდ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის მიღწევა შეუძლებელია. ასეთი განწყობებიდან კი ერთი ნაბიჯია იმისკენ, რომ ხალხმა ქუჩაში გამოსვლა გადაწყვიტოს და ვიტრინების დალეწვა დაიწყოს. ფაქტია, რომ საზოგადოებაში ამ კატეგორიის ხალხიც საკმარისადაა. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ კანონმდებლობის გამკაცრებით და ძალის დემონსტრირებით, როგორც ეს 26 მაისს მოხდა, საზოგადოების ამავე ნაწილს აფიქრებინებს, რომ ჭკუით იყოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მოვა სპეცრაზმი და თავს გაგიტეხავს; ამიტომ, სჯობია სახლში წყნარად იჯდე. ჯერჯერობით, დაშინების პოლიტიკა მუშაობს. ვინაიდან ხალხში უკმაყოფილების დაგროვების პროცესი გრძელდება და უკმაყოფილება ხალხში სულ უფრო მეტად გროვდება, არ გამოვრიცხავ, რომ ხალხი ამანაც ველარ შეაშინოს.

საჭიროა ქვეყანაში არსებული ვითარების სხვა გზებითა და საშუალებებით დარეგულირება. ხალხმა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები უნდა დაინახოს. შესაძლებელია ეს ცვლილებები თავად ხელისუფლების წიაღში მომზადდეს და აქცენტი ძალაზე კი არა, როგორც ახლა ხდება, არამედ იმ რეფორმებზე გაკეთდეს, რითაც ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა.

**— რამდენადაც ვხდები, სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებდად და პრევენციული ზომების მისაღებად საკმარისად არ მიგაჩნიათ არც „მანიფესტაციების შესახებ“ კანონის გამკაცრება და არც თავდაცვის ექსმინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის თანამზრახველები...**

— რაღაც დონეზე და გარკვეულ დრომდე ეს ზომები იმუშავებს, მაგრამ თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, თუ ხალხმა ქვეყანაში ცხოვრების პერსპექტივა არ დაინახა და მხოლოდ იმაზე იფიქრა, როგორ გაუშვას შვილები საზღვარგარეთ სამუშაოდ, ყველაფერი ძალიან ცუდად დასრულდება.

**კობა ბენდელიანი**

◎ ბრიფინგი

# წითელი ბარათი საქართველოსთვის

## ევროკავშირი სერიოზული სანქციებისთვის ემზადება

**„ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში“ — ამ თემაზე ბრიუსელსა და სტრასბურგში ოთხდღიანი დიალოგი მიმდინარეობდა. ევროპულმა მხარემ დახურულ ფორმატში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაპატიჟა, მაგრამ პარალელურად დაუკავშირდა ქართველ უფლებადამცველებს და მათი აზრის მოსმენაც მოისურვა. აქედან გაემგზავრნენ „ყოფილი პოლიტპატიმრების“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე, „ობიექტივის“ ჟურნალისტი ირმა ინაშვილი და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი დავით თარხან-მოურავი. მათ შეუერთდნენ ფრანგული რადიოს ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე და წინააღმდეგობის მოძრაობის ადგილობრივი წარმომადგენელი ბრიუსელში მერაბ ბლადაძე.**

ევროპიდან დაბრუნებულმა **ნანა კაკაბაძემ** გუშინდელ ბრიფინგზე თავისი ვიზიტის შედეგები შეაჯამა და იმედისმომცემი განცხადებებიც გააკეთა. **„საქართველოს თემაზე ბრიუსელში მთავარი მომხსენებელი იყო პოლონელი დიპლომატი ვოიჩეკ ვისოცკი. ჩვენ მას გადავეცით მომზადებული ანგარიში, რომელიც მოიცავდა 26 მაისის მოვლენების შეფასებას და მოკლე ანალიზს ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ. იმავე საღამოს მან შეაფასა ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრები და ხაზი იმას გაუსვა, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ევროკავშირის წარმომადგენლები პარალელურ რეჟიმში შეხვდნენ ორივე მხარეს“,** — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

თითქმის იმავე შემადგენლობით გაიმართა შეხვედრა სტრასბურგში. უფლებადამცველებს ევროსაბჭოს ოფისში კომისარ თომას ჰამერბერგთან მოუწიათ საუბარი. ანგარიშთან ერთად მას გადასცეს 26 მაისის დარბევის ამსახველი ფოტომასალები. **„ჩვენ ვგეგმავთ საქართველოში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას, რომელზეც მოვიწვევთ მსოფლიოში ცნობილ უფლებადამცველებს, რათა საფუძვლიანად შეისწავლონ და შეაფასონ აქ მიმდინარე პროცესები. ჩვენ მკაფიოდ და გასაგებად ვთქვით, რომ დემოკრატიის ნაცვლად, ვითარება რეჟიმის გამყარებისკენ მიდის, კომისარი შეგვპირდა, რომ აუცილებლად ჩამოვა, იქამდე კი 30 რიცხვისთვის მისი კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება შეფასება საქართველოზე, სადაც დაფიქსირდება კომიტეტის ოფიციალური პოზიცია ჩვენთან ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ“,** — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

ამ თემაზე ჟურნალისტმა გიორგი ნერაძემ ბრიუსელშივე სიუჟეტი მოამზადა „ეხო კავკაზისათვის“. მას მოუწია კომენტარის გაკეთება ვისოცკის პოზიციის შესახებ, სადაც ამბობს: **„ვისოცკის პოზიცია ძალიან უარყოფითია. მან აღნიშნა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საკითხი ევროკავშირში მკაცრად იქნება დაყენებული. ამ ეტაპზე არავითარ სანქციებზე საუბარი არ არის, მაგრამ ამბობს, რომ წითელი ბარათი მზადების პროცესშია. ეს მისი ნათქვამის პირდაპირი პერიფრაზირებაა: „წითელი ბარათი საქართველოსთვის უკვე მზადდება!“** — აღნიშნა ჟურნალისტმა. ვნახოთ, როდის აგვინთებს ევროკავშირი წითელს... რომელიც რეალურად მოაზროვნე ქართველს, ალბათ, არ გაახარებს, მაგრამ, დროა — სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და სათქმელი ბოლომდე ითქვას...

**ნია ფიფია**

◎ აქტუალური ინტერვიუ

***მილიონი ლარი იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც ხუთპროცენტიან საარჩევნო ბარიერს გადალახავს — ეს არის მთავარი დამაინტრიგებელი პუნქტი, „რვიანისთვის“ შეთავაზებული სახელისუფლებო წინადადებებიდან. მსგავსი ტიპის პირობები „მხოლოდ შეთანხმების მონაწილე სუბიექტებზე“ ვრცელდება. თუმცა, გაუგებარია, ქართული პოლიტიკური სპექტრის ასეთი „ბუნებრივი გადარჩევა“ ქვეყნის კანონმდებლობაში როგორ უნდა აისახოს.***

***პრესაგეტე-მ ანალიტიკოსებს ერთადერთი კითხვით მიმართა — რამდენად მისაღებია „რვიანისთის“ სახელისუფლებო წინადადებები, თავად მთავრობა რამდენად მზად არის კომპრომისებისთვის და საარჩევნო გარემოს რეალური გაუმჯობესებისთვის.***

***ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, ხელისუფლების მიერ, წარმოდგენილ საბოლოო საარჩევნო ინიციატივებში ფაქტობრივად არც ერთი ის საკითხი არ ასახულა, რომელიც სამართლიან არჩევნებს უზრუნველყოფს.***

# ხელისუფლებას ყველაზე მეტად საარჩევნო ბიულეტენით შეიარაღებული მოქალაქე აშინებს

**ვახტანგ ხმალაძე, კონსტიტუციონალისტი:** „საქართველოში არჩევნების შესაძლებლობის გაჩენის დღიდან, ანუ 1989 წლიდან მოყოლებული დღემდე, ამ საკითხებზე მუშაობა მიწევს. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ საარჩევნო სამართალი ძალიან კარგად ვიცი. ამის გათვალისწინებით, შემიძლია, ვთქვა, რომ ხელისუფლების წინადადებების მიღმა ისევ რჩება ამომრჩეველთა სიების პრობლემა, საარჩევნო სისტემის სამართლიანობის საკითხი, დავების განხილვის პრობლემა, ყბადაღებული „კარუსელების“ საკითხი და ასე შემდეგ“.

**ალეკო შალამბერიძე, პოლიტიკოსი:** „ხელისუფლებამ რაც ადრე წარმოადგინა, იგივე წინადადებებთან გვაქვს საქმე. ეს ეხება პარლამენტის წევრთა, მათ შორის, მაჟორიტარების რაოდენობის გაზრდას და საუბარია იმაზე, რის გამოც მარტის თვეში მოლაპარაკების მაგიდა დავტოვეთ.

ხელისუფლებისთვის ეს სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. ამიტომ, ყველანაირად ცდილობს ამ პასუხისმგებლობას გაექცეს. ოპოზიციის ამოცანაა, ჩიხში შეიყვანოს და ხელისუფლებას არ მისცეს საშუალება, თავისი გაიტანოს. „რვიანის“ პასუხი ამ დღეებში გვეცოდინება. ვფიქრობ, უკან არ უნდა დაიხიონ და გააგრძელონ ბრძოლა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის. საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, ერთხელ და სამუდამოდ არჩევნების გზით უნდა გახდეს შესაძლებელი“.

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:** „პირველი, რაც ამ წინადადებებში მიმზიდველია, ეს არის სამმხრივი კომისიის შექმნა ოპოზიციის, ენჯეოს და ხელისუფლების მონაწილეობით. არასამთავრობოებს ამ თვალსაზრისით, ობიექტურობის დაცვის მეტი რეპუტაცია აქვთ და ეს სქემა უფრო მისაღებია.

რაც შეეხება ხუთპროცენტიან ზღვარს და მილიონ ლარს, საიდანაც 300 ათასი ტელერეკლამებზე იქნება მიმართული, ამას მხოლოდ მივესალმები. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ რაც არის, ამას გაცილებით სჯობია. თანაც, ეს არ არის მხარეების ბოლო სიტყვა. შეთავაზებაზე მოლაპარაკებათა ახალი ტურის დაწყება არის შესაძლებელი. ამით პოზიციების შემდგომი შეჯერება მოხდება.

ვფიქრობ, საბაზისო პოზიცია საკმაოდ მისაღები უნდა იყოს პოლიტიკური ოპოზიციისთვის. მაჟორიტარების და პროპორციულების თანაფარდობა, შეიძლება შემდგომი მოლაპარაკებების საგნად იქცეს. ხელისუფლება კომპრომისებით დაინტერესებულია. ის არ გამოდის ხისტ, უალტერნატივო პოზიციაზე მდგომ მხარედ, უფრო ელასტიურად, მოქნილად მოქმედებს და მზად არის მოლაპარაკებისთვის და გარკვეულ კომპრომისებზე წასვლისთვის“.

**რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი:** „წინადადებების მიღება თავად „რვიანის“ სუბიექტების საქმეა. გააჩნია, ისინი რა ტიპის ბრძოლისთვის გამოხატავენ მზადყოფნას. არის პუნქტები, სადაც ბრძოლის შედეგად გაუმჯობესების მიღწევა არის შესაძლებელი.

ისიც საგრძნობია, რომ ხელისუფლება ამ ერთმნიშვნელოვნად შეეწინააღმდეგება, გაყალბების წინააღმდეგ მიმართული ყველაზე თვალსაჩინო წინადადება, ბიომეტრიული კონტროლი, ხელისუფლებამ განხილვის თემებიდან საერთოდ მოხსნა. ამდენად, სავარაუდოა, ხელისუფლება იმისთვის იბრძოლებს,



რომ საარჩევნო კლიმატი მას ეხმარებოდეს და არა ოპოზიციას.

საბრძოლო ველი კი არსებობს. ოღონდ, ძნელია ერთმნიშვნელოვნად თქმა, რომ პარიტეტული კომისიის შექმნა ხელისუფლებისთვის წამგებიანი იქნება. კომისია იმისთანა რამეა, თუ მოახერხებ შენი მხრიდან ყურის მიბმას, სრულ კონტროლქვეშ აღმოჩნდება. ხელისუფლებამ უკან დახევისთვის და კომპრომისისთვის ერთგვარი საფუძველი შექმნა, თუმცა, ეს არ არის ის კომპრომისი, სადაც ის რაიმეს დაკარგავდა.

ამ პირობებში, ხელისუფლება შანსს იტოვებს, რომ პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლოს საარჩევნო პროცესი. ასევე შანსი მიეცა, რაღაც დამატებითი მექანიზმები შექმნას. თუმცა, საეჭვოა, ამ პირობებში რაიმე კარდინალური ცვლილებებო მოხდეს.

რა თქმა უნდა, ყველა მოთამაშეს საკუთარ მოედანზე სურს თამაში. გასაკვირი იქნებოდა, ხელისუფლებას „რვიანი“ უფრო უყვარდეს, ვიდრე საკუთარი თავი. მაგრამ თუნდაც, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ანგარიშის გაწევის გამო, ხელისუფლებას ეტყობა უღირს, რომ რაღაც ნაბიჯების გადადგმის სურათი შექმნას“.

**სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი:** „ხელისუფლების შეთავაზებებთან დაკავშირებით პასუხი მარტივია. მარცხნივ უნდა ჩამოიწეროს „რვიანის“ წინადადებები, რომლებიც ცხრა თვის მანძილზე ხელისუფლებას მაგიდაზე უდევს და მარჯვნივ — მთავრობის მიერ წარმოდგენილი რეაქცია. თუ ნახევარი მაინც ადეკვატური წინადადებებია, მაშინ ჩავთვლით, რომ ასე თუ ისე, პროცესი შედგა. თუ არაფერი ადეკვატური არ არის, ყველა ძირითადი მოთხოვნა იგნორირებულია და მსჯელობის საგნადაც კი არ უქცევია ხელისუფლებას, მაშინ თავსლაფდასხმულმა „რვიანმა“ უნდა იფიქროს ტექნოლოგიებზე, თავად ამ ხელისუფლებას თავსლაფი რომ დაასხას.

საქართველოს ხელისუფლებას ყველაზე მეტად აშინებს არა ავტომატი, ან უცხო, სამოყვარულო სპეცდანიშნულების რაზმი, არამედ საკუთარი მოქალაქე, რომელიც შეიარაღებულია საარჩევნო ბიულეტენით. ეს არის ძირითადი და ფუნდამენტური საფრთხე დღევანდელი ხელისუფლებისთვის. ცხადია, არასოდეს დათანხმდებიან იმაზე, რომ საარჩევნო გარემო დღევანდელ დემოკრატიულ სტანდარტებთან ადეკვატური იყოს.

სამწუხაროდ, პოლიტიკური „რვიანიც“ მას აჰყვა იმ ტერმინებით თამაშში, რასაც საარჩევნო გარემო ჰქვია. არც ერთი წინადადება, საარჩევნო გარემოს ცვლილებისა, „რვიანს“ არ შეუთავაზებია, გარდა საარჩევნო კანონმდებლობის საკითხებისა. საარჩევნო კანონმდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი ინსტრუმენტი გარემოს გაუმჯობესებისთვის.

ამ მხრივ, არასოდეს ყოფილა გარჩევა „რვიანსა“ და ხელისუფლებას შორის, არავის უნახავს ქაღალდზე წარმოდგენილი წინადადება მედიასივრციის დემოკრატიზაციისა, სასამართლოს სამართლიანობისა, პოლიციის მიუმხრომლობისა და ნაციონალური მმართველობის სხვა ველური გამოვლინებებისა, რომლის გამოსწორების გარეშე, იდეალური საარჩევნო კანონმდებლობა რომც გქონდეს, ვერასოდეს მივიღებთ რაიმე ადეკვატურ შედეგს.

მოლაპარაკების ორივე მხარეს მჯდომმა პოლიტიკოსებმა ეს შესანიშნავად იციან და დროა საზოგადოებაც გამოფხიზლდეს, თვალში ნაცარი არავის უნდა შეაყრევინოს. თუ საუბარია გარემოზე, ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოების როლით უნდა დაწყებულიყო.

ერთმმართველობის რეალობიდან დემოკრატიულ რელსებზე შედგომის სურვილს თუ შეამჩნევდნენ ხელისუფლებას, მაშინ შეიძლებოდა ამ წინადადებებისთვის ცხრა თვე დალოდებაც და ოცდაორი თვეც. ბატონი კაციტაძე კი ბრძანებს, რომ ნამდვილად ღირს ეს წინადადებები განსახილველად. ალბათ, „რვიანში“ ამასთან დაკავშირებით აზრი გაიყოფა, ყველა საკუთარ გზას დაადგება და თავისას მოიმკის“.

**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი:** „რვიანის“ პრინციპული მოთხოვნები ხელისუფლების მხრიდან გათვალისწინებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო წინადადებებში ეს არ არის ასახული. ხელისუფლება კომპრომისის მიღწევაში და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში აბსოლუტურად არ არის დაინტერესებული. მისი აზრით, ახლა ისე ძლიერია, როგორც არასდროს. ოპოზიცია ქვეყანაში, ფაქტობრივად არ არსებობს. რაც შეეხება „რვიანს“, ხელისუფლება თავისი ნაბიჯებით მის სრულ დისკრედიტაციას ახდენს.

რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშით, „რვიანის“ დისკრედიტაცია ძალიან ცუდი მოვლენაა. ხელისუფლებას რაღაც მომენტში სრული გამარჯვების განცდა უჩნდება და ჰგონია, რომ სულ ასეთი მდგომარეობა იქნება. ასე არ იქნება და ამ თვალსაზრისით, ხელისუფლება ძალიან ცუდ ნაბიჯს დგამს“.

**მერაბ ბრეგაძე,**
Presage.tv

◎ კერძო აზრი

# დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი?

მიმდინარე წლის 10 ივნისს, დაახლოებით შუა დღეს (14.50 წუთზე) ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა, რამაც მყის მიიქცია ჩემი ყურადღება. მოხდა კი ის, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის საკმაოდ კარგად ცნობილმა ბატონმა გუგაზ სანიკიძემ, ერთი მეტად საგულისხმო ფრაზა წარმოთქვა ტელეარხ „მაესტროს“ ეთერში ცნობილ ტელეწამყვან ეკა ბერიძესთან საუბარში, რაც დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერს: **დადგა დრო, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ამა თუ იმ სახით ერკვევიან ჩვენივე (ანუ ქართველების — ა.გ.) უნიათობით შექმნილ არცთუ სახარბიელო სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, საჯაროდ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების შესახებ.** ბატონ გუგაზის ეს, მე ვიტყოდი, სრულიად დროული და საკმაოდ ბრძნული განცხადება იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ქართული საკმაოდ ჭრელი პოლიტიკური სპექტრის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა რიცხვს მე ბატონ გუგაზს უდავოდ მივაკუთვნებ, გრძნობენ საქართველოში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარების, აგრეთვე ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ოპოზიციური ძალების მოქმედებაში უკვე ღრმად „გამჯდარი“ კრიზისის მავნეობას მთელი ქვეყნისათვის, ისინი სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის ზრუნვას სულაც არ მიიჩნევენ საქართველოში უკანასკნელი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე საკმაოზე მეტად მომრავლებული პოლიტიკური წარმონაქმნების მონოპოლიად, რისთვისაც პირადად მე ბატონ გუგაზს გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

ამასთან ერთად, დიდად მაკვირვებს, თუ რით ვერ გაარკვიეს თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოში, თავადაზნაურობისა არ იყოს, აგრერიგად მომრავლებულმა ეგრეთ წოდებულმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომ მათი ამოცანა არაა მაინცდამაინც ხელისუფლებისთვის ბრძოლა და მით უმეტეს მისი ძალადობრივი დამხობის გზით, რისი მოწმენიც ჩვენ, სამწუხაროდ, ამ უახლოეს წარსულში გავხდით, არამედ ჭეშმარიტი მოვალეობაა ხელი შეუწყონ დადებით ტენდენციებს, პირველ რიგში ეკონომიკის განვითარებაში. ამიტომ ყველა ადამიანი, მით უმეტეს ის, ვისაც თავისი პერსონა პოლიტიკოსად მიაჩნია, ვალდებულია ხელი კი არ შეუშალოს, არამედ აქტიურად ითანამშრომლოს მასთან ამ საქმეში, თუნდაც იგი მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ რჩებოდეს.

ისე, ჩვენში დარჩეს და, თითქმის ოცდახუთი წელი არ უნდა დასჭირებოდა საქართველოში, სადაც თითქმის თითოეული ქართველის სულსა და გონებაში ბატონობს დღემდე დამლუპველი, გამანადგურებელი ილუზია, რომ, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ?!“ იმისათვის, რათა გაგვეცნობიერებინა, რომ ჯანსაღი პოლიტიკური ძალების მთავარი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის წინაშე არსებული მრავალი პრობლემის მოგვარებაში ყოველდღიური აქტიური მონაწილეობა.

მაგრამ ამგვარი პოზიციის დაკავებასა და აღმშენებლობის საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღებაში, მავანსა და მავანს, ალბათ, ხელს უშლიდა ის „ბრძნული“ სენტენცია, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“, რამაც წაბილწა და გაათახსირა ზოგიერთი ოპოზიციონერი თუ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანი და ხალხის მსახურის ნაცვლად სატანის მსახურად გადაიქცა.

მაგრამ ამაზე სხვა დროს სჯობს ლაპარაკი, დღეს კი უმორჩილესი თხოვნით შემოვიფარგლებოდი მკითხველი საზოგადოების მიმართ, რომ თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან, თავიანთი მოსაზრებები მოგვაწოდონ ამ მოკლე რეპლიკაში ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი პოზიციის ავკარგიანობის შესახებ ტელეფონით 2913679 ან მობილურით 577406072, ან წერილობით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მისამართზე.

**პოლიტიკოსები ნუ შემომეხმიანებიან.**

პატივისცემით

**ანზორ გაბიანი,**
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

**P. S. რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ არ მივიდა მიტინგზე აურაცხელი ხალხი ა.წ. 21-26 მაისს, რომლის შესახებაც სერიოზულად მსჯელობს ზოგიერთი პოლიტიკოსი, ვგონებ მათი, ანუ მიზეზების „დადგენა“ დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. კერძოდ, ხალხს, რომელსაც არცთუ უსაფუძვლოდ, ბრძენს უწოდებენ, კარგად ესმის, რომ „ოპოზიციური ძალების, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ელიტურ“ ნაწილს ხალხის სიმრავლე ძირითადად ანტურაჟისათვის სჭირდება, რათა დააშინოს არსებული ხელისუფლება, მოუსავლეთში გაისტუმროს და თვითონ დაიკავონ მისი ადგილი, ხოლო რაც შეეხება ხალხის მასას, მისი ბედი ნაკლებად აინტერესებთ თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც იგივე ხალხი ამბობს „როდის იყო მაძღარს მშიერის ესმოდა“. რაც შეეხება ხელისუფლების ცვლას საქართველოში, დღეს უკვე მზესავით ნათელია, რომ მარტო არსებული ხელისუფლების თუნდაც სრულიად მშვიდობიანი, არჩევნების გზით გაშვება არამც და არამც არა კმარა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, რადგან თუ მომსვლელი წამსვლელზე მეტის გამკეთებელი ვერ ან არ იქნება, ძალაუნებურად იფიქრებ, დღევანდელი კვერცხი ხომ არ ვამჯობინოთ ხვალინდელ ქათამსო, როგორც ამასაც ისევ და ისევ ქართული ხალხური სიბრძნე გვიკარნახებს.**

**ა. გ.**

## დედაქალაქი

***გუდაურის შემდეგ გიგი უგულავა თბილისის ისტორიულ უბნებს იკანონებს. დიახ, არც მეტი, არც ნაკლები, ისტორიულ უბნებს იკანონებს და... დიდი ხანია საუბრობენ იმაზეც, რომ გიგა ბოკერია მამას წილში უზის.***

***„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" — პროექტი, რომლის უკანაც დიდი ფული დგას და, რომელიც ისტორიულ ძეგლებს ანადგურებს. ეს არის სქემა, რომელიც ერთი ძალიან უბრალო, კერძო შემთხვევის გამოძიებით გაიშიფრა.***

***მთაწმინდაზე, ენგელსის ქუჩაზე, ისტორიულ ნუსხაში შეტანილი ერთ-ერთი სახლის რამდენიმე ბინა გაიყიდა. პრესაგე.ტვ-ს რესპონდენტის დავით წიქარიშვილის მეგობრის ფართობი რომ გაიყიდა, წიქარიშვილმა ამის შემდეგ დაიწყო გარკვევა ვინ იდგა მერიის პროექტის „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის" უკან და საერთოდ რას ემსახურებოდა ეს ყბადაღებული პროექტი. დეტალებზე თავად ბატონი დავითი გვესაუბრა.***

# ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე – გიგისთვის შეწირული

**დავით წიქარიშვილი, განათლების თავისუფალი პროფკავშირების „ერთობის" წარმომადგენელი:**

— სრულიად მოულოდნელად წავაწყდი კულტურულ მემკვიდრეობასა და პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის" ირგვლივ არსებულ პრობლემას. საქმე შეეხო ჩემს მეგობარს და ამის შემდეგ დავიწყე საკითხის შესწავლა. ჩემი მეგობრის სახლი მთაწმინდაზე ასათიანის ქუჩაზე მდებარეობს, სახლი გამოცხადებულია ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლად. ერთხელაც გაირკვა, რომ რეესტრმა ამ ისტორიულ სახლში ერთ-ერთ მოსახლეს მისცა საერთო სარგებლობის ფართის დაკანონების უფლება. ამ ფართზე თანხმობა უნდა მიეცა 17 ოჯახს, მაგრამ რეესტრი დაკმაყოფილდა იმით, რომ თანხმობა 4 მოსახლემ განაცხადა. შედეგად, რეესტრმა მოიგო ოფიციალური გადასახადი 50 ლარი და ვიღაცამ ისტორიული სახლის ნაწილი.

რა თქმა უნდა, ეს გავაპროტესტეთ, ბოლოს და ბოლოს, ფართი ჩემი მეგობრის საკუთრება იყო და მას ხომ უნდა სცოდნოდა ამ ყიდვა-გაყიდვის შესახებ? მივმართეთ კულტურის სამინისტროს, სადაც გვითხრეს, რომ მოგცემთ დოკუმენტაციას სახლის შესახებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვაქვს ამ საქმეში ჩარევის უფლება, თბილისში არსებული ძეგლები მერიამ წაიღოო...

არქინბამაც ეგრე დაიწყო თავიდან ტერიტორიების „მითვისება" და ბოლოს დამოუკიდებლობის აღიარებით დაამთავრა. ძალიან მეშინია, რომ გიგი უგულავა მალე თბილისის დამოუკიდებლობით დაამთავრებს თავის საქმიანობას. მერია აკეთებს ისე, როგორც მას გაუხარდება, არიან ხასიათზე? — ძეგლის გადაკეთების ნებართვასაც გასცემენ და თუ არა— მიშენებულ აივნებს ანგრევენ.

რაღა შორს წავიდე, ხომ აჭრელდა პრესა და ტელევიზია ილია მოსიაშვილის სახლზე? ისტორიული ძეგლიაო, რომ შეედავა უგულავა და გადახურვა მოანგრევინა კაცს, არადა იმ ისტორიულ სახლს წვიმა ანგრევდა, წყალი ჩადიოდა.

**— მოსიაშვილი სახლის გადახურვის გამო დააჯარიმეს კიდეც.**

— მახსოვს, კი... თავად რეესტრს არც აინტერესებს არის თუ არა სახლი ისტორიული ძეგლი. ამათ კარგად იციან, რომ ყველა ვერ მიმართავს სასამართლოს, 100 ლარია იქ გადასახდელი, ადვოკატის ფული ცალკე უნდა გადაიხადო და დროშიც იწელება. ამ ყველაფერს წლები სჭირდება, ამიტომ თავი ქუდში აქვთ.

„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" სპეციალური შესწავლის საგანია, აქ სქემა როგორც ჩანს, ასეთია — მერიამ „დაითრია" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გამოაცხადეს, რომ თბილისს ახალ სახეს აძლევენ, აშენებენ სახლებს და ძველ სახლებს ყიდულობენ. სინამდვილეში, ვიღაცებს ხელს უწყობენ ნაწილ-ნაწილ იყიდონ ისტორიული სახლები. ძალიან სერიოზულ თანხებზეა საუბარი და ეს თანხები მიდის სადაც საჭიროა.

**— სად?**

— ხელის დადებას ჯერ არავისზე ვაპირებ. არსებობს მეორე პრობლემა, მერიას კი ექვემდებარება, მაგრამ მერია ამაზე საერთოდ არ ზრუნავს, ფულს ათეთრებს. რეესტრში არ არსებობს სამსახური, რომელიც იტყვის, რომ ამ მისამართზე არსებული ოთახია თუ აივანი, არის ისტორიული ძეგლი და მას უნდა მოვექცეთ ისე, როგორც ეს ისტორიულ ძეგლს სჭირდება.

**— არაპირდაპირ თქმას, გერჩივნათ, პირდაპირ გეთქვათ, ანუ ფულს გიგი უგულავა ათეთრებს?**

— მაგას ვამბობ მეც! კულტურული მემკვიდრეობა მაშინ კი არ უნდა გაგახსენდეს, როცა გინდა ვინმეს ფული წაართვა, მაშინაც, როცა რეესტრი ერთი ხელის მოსმით უკანონებს ამ მემკვიდრეობას კერძო პირს ამოფარებულ კომპანიას, რომელიც ნაწილ-ნაწილ ყიდულობს სახლებს და ერთ მშვენიერ დღესაც ამ სახლს საკუთრებად გამოაცხადებს, მერე დაშლის და ხელსაც არავინ შეუშლის ამაში.

**— მოდი, ასე ვთქვათ, თუ გიგის არ უნდა გაყიდოს კულტურული მემკვიდრეობა, რეესტრი ვერც ვერაფერს გააკეთებს.**

— რა თქმა უნდა. ჩვენ სასამართლოს რომ მივმართეთ, მერიამ უარი განაცხადა პროცესში ჩართვაზე. მოწმედაც არ გამოდიან, რომ დაადასტურონ სახლი ისტორიული ძეგლების ნუსხაში არის თუ არა. სასამართლომ ბუნებრივია გვითხრა, არ ჩავრთავ მერიას მხარედო, უგულავას ხელს ხომ არ შეუშლიან? მათ არ უნდოდათ მერიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა და ეს გასაგებია, ამიტომ, არ ჩართეს მერია მხარედ. თავად მერიამ კი მოწმედ პროცესზე გამოსვლაზე უარი თქვა. ახლა იძულებული ვართ ხელახლა დავიწყოთ დავა, მაგრამ ამ დავაში მერია არ გვიდგას გვერდით.

**— გამოდის, რომ დიდ ფულს ათეთრებენ.**



— ეს ის საქმეა, რომელსაც სერიოზული ფულის სუნი ასდის. სახლი სოლოლაკშია, ენგელსზე. იქ საკმაოდ ბევრი სარემონტო სახლია, მაგრამ შეტანილია ისტორიულ ძეგლების ნუსხაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მეპატრონე ხელს ვერ ახლებს, მაგრამ სახლებს ხელს ახლებენ ისინი, ვინც მერიის ინტერესში ჯდება, ანუ ნაწილ-ნაწილ გაიყიდება სახლები. ნუსხა უგულავას ხელში არაა? ამოიღებს სახლებს ნუსხიდან, ვინ გადაუღობავს გზას? ინვესტორებიც მესამე პირის მეშვეობით იწყებენ საქმეს. რეესტრი აკანონებს, მერია ჩერდება და პრობლემა არაა.

გიგი ყიდულობს სახლებს, ყიდის და არც არავინ ეუბნება არაფერს. როგორც გავარკვიეთ, ეს ფაქტი ერთადერთი არაა და არაერთი მსგავსი ფაქტი აღმოვაჩინეთ. ამ ეტაპზე, ჯერ არ გვინდა მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ჩვენ ახლა ვარკვევთ, რომ აქ ერთიან სტრატეგიაზეა ლაპარაკი და ამ ყველაფრის უკან დგას პირადი ინტერესი.

**— ამბობენ, ბოკერიას მამის ლევან ბოკერიას ინტერესებიც დევს ამ საქმეშიო.**

— ხელის დადება ჯერ არ მინდა, ვაგროვებთ მასალებს და სასამართლოში ითქმება ყველაფერი. ზუსტად ვიცი სასამართლო უგულავას საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მაგრამ... ყველაზე სასაცილო ისაა, დოკუმენტები რომ გამოვითხოვეთ, ნახაზი არ მოგვცეს. ნახაზში ფული კი აიღეს, მაგრამ არ დაურთეს საქმეს. გასაჩივრება ისეთი დოკუმენტისა, რომელსაც ნახაზი არ ახლავს და მარტო შინაარსის გასაჩივრება, ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს უთხრა — მე რომ არ ვიცი რა წერია, იმ დოკუმენტს ვასაჩივრებ და მოდი, გამოითხოვე რეესტრიდან და მანახე ღირს თუ არა გასაჩივრებაო.

ნებისმიერი მოსამართლე გეტყვის, მიდი რა შვილო, საქმეს მიხედეო. ნახაზს სპეციალურად არ გაძლევენ და მოსამართლე ყავაში ხომ არ ჩაიხედავს?

**— მაგრამ, საქმეს მაინც არ წააგებთ?**

— კი, მაგრამ მე ერთადერთი, რაც მაინტერესებს ისაა, რომ აქ დაიდოს თუნდაც, წაგებული საქმის გადაწყვეტილება, რომ გავასაჩივრო ოდესმე. ან უარი მითხრას სასამართლომ რაიმე მოტივით განხილვაზე, მე რომ პასუხი გავცე და საფუძველი მქონდეს ვიჩივლო.

**— შეიძლება ის ადამიანები გარეთ გამოყარონ?**

— ყოვლად არაპროგნოზირებადი სიტუაციაა. მცოცავი გრაფიკით ყიდულობენ ადგილს, ღიად ჯერ არავინ გამოჩენილა. ნაწილ-ნაწილ იკანონებენ სახლებს. ადგილობრივ მოსახლეობას არავინ უწევს ანგარიშს და, არც იმას, სახლები რომ ისტორიული ძეგლების ნუსხაშია. ადგილი გენიალურია, რატომ არ მოინდომებენ წართმევას? მერიის სამსახურებს რომ არა აქვს სურვილი ხელი გაატოკონ, ეს იმ დროს, როცა ერთი აივნის მიშენებისთვის სპეცრაზმები ესხმოდა ხალხს თავს და ანგრევინებდნენ...

**ნანა მაისაშვილი**

## რეპლიკები

### კოკო გამსახურდიამ პარლამენტი დატოვა?

ნუთუ? რა ეშველება პარლამენტს ასეთი ინტელექტუალური პარლამენტარი რომ მოაკლდა? აბა, როგორ? მისთვის ხომ საქართველოს პარლამენტი მეტად მცირე გახლდათ ინტელექტუალური მუშაობისათვის, ведь большому кораблю большое плавание და გაიჭრა იგი საერთაშორისო სივრცეში. კერძოდ, დაინიშნა კომუნიკაციების საერთაშორისო კავშირში და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად. დაფასებაც ასეთი უნდა.



ყოჩაღ, კოკობზიკავ, კოკოლიკავ! არადა, რას გაჰყვიროდი ხმის ჩახლეჩამდე ოპოზიციის მიტინგებზე?!

### გავუფრთხილდეთ ენას, ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა

ადამიანის ყოფიერება თავის საფუძველს იღებს ენაში, რომელიც ხორციელდება საუბარში. ენა არის საშუალება ერთმანეთთან მისვლისა, თანაარსებობისა. ჰაიდეგერი აღნიშნავდა: „ჩვენ ვართ საუბარი". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევძლოს ერთმანეთის მოსმენა. მაგრამ ადამიანებს ერთობ უჭირთ, უჭირთ მოსმენა, განსაკუთრებით განსხვავებული აზრისა და ხშირად ძალადობასაც კი მიმართავენ.

„ენა არცთუ ისე ადვილად მოსათვინიერებელი რამ არის" — ბრძანებდა იაკობ მოციქული.

ამის გამო ხშირად ხდება უსიამოვნებები, გაუგებრობანი, უფრო მეტიც, ფრიად სავალალო შედეგებით. ამის ნათელი მაგალითია ჩვენ ხელისუფალთა ენაბილწობა, სრულიად არაეთიკური გამონათქვამები...

პარნელი აღნიშნავდა: „ენა დატენილი იარაღია, მოლაპარაკე ისვრის, ფრთხილად!"

### იუმორი

1ძ მგელს სახარებას უკითხავენ — პარლამენტში ვეფხისტყაოსნის კითხვა დაიწყეს.

2ძ მაგარი ვარჯიში ჩაუტარეს რაჭველებს: მთელ რაჭაში „მიშა, მიშა, მადლობა" ისმოდა.

3ძ მობილურზე რვიანი ხუთიანით შეცვალეს, კარგად რომ დავიმახსოვროთ და არჩევნებზე ხუთიანი შემოვხაზოთ.

4ძ რუსეთი დიდია, პრეზიდენტი კი დაბალი ჰყავთ, საქართველო პატარაა, პრეზიდენტი კი — მაღალი. ხომ არ გავცვალოთ?!

**ლონდა მდივანი**

## ინფორმაცია

### სოციალურად დაუცველნი წიგნებს უფასოდ მიიღებენ

**სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად განათლების სამინისტრო 8 მილიონ ლარს გამოყოფს.**

**„ჩვენ გამოვყოფთ 8 მილიონ ლარს და ეს კეთდება იმისთვის, რომ მიუხედავად იმისა, რა ფინანსური მდგომარეობა აქვს ბავშვების მშობლებს, მათ განათლების მიღების და წარმატებულ ადამიანად გახდომის საშუალება უნდა ჰქონდეთ", - განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და დასძინა, რომ სამინისტრო საჯარო სკოლებიდან სოციალურად დაუცველი მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის მიღებას ელოდება, თუმცა როგორც მთავრობის სხდომის დაწყების წინ გახდა ცნობილი, განათლების სამინისტრო დაახლოებით 8 ათას წიგნს შეიძენს.**

ҲИ-ЭИВ-ЭНИ

მოვისმინეთ!

# ნუთუ მართლა ამდენი მტერი და მოღალატე ჰყავს ქვეყანას?!

გალაკტიონ ტაბიძის ცნობილ ძეგლთან მიწისქვეშა გადასასვლელში და უბანში დასახლებულ თუ მცხოვრებთა დაბალი ფენისათვის საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა იყო, რადგანაც აქ განლაგებული სავაჭრო ფარდულები: სასხოვი თუ სასურსათო მაღაზია, სილამაზის სალონი, ბავშვთა ტანსაცმლის გასაყიდი პუნქტი, შემდეგ, ეგრეთ წოდებული მეორადები, საყურებისა და პარფიუმერიის სავაჭრო... ყველაფერი ეს საშუალებას აძლევდა მცირე შემოსავლიანებს შორის წაუსვლელად და დროის დაზოგვით შეეძინათ ოჯახისთვის აუცილებელი სამრეწველო თუ სასურსათო საქონელი. გაუკვირდება მკითხველს, რისი თქმა უნდა ავტორს, მაღაზიები ანუ მარკეტები, სუპერ-მარკეტები და ბუტიკები (ეს საუცხოო სახელწოდებები!ძ ნეტავ ქალაქის რომელ კუთხეს და რომელ უბანს აკლიაო დღეს, – იტყვის. იმის თქმა მინდა , რომ ერთ მშვენიერ დღეს, მას შემდეგ მგონი ორი კვირა გავიდა, ყველაფერი ეს ზემოთ ჩამონათვალი გამვლელ-გამომვლელს ჩარაზული დახვდა. მხოლოდ მათხოვრები შემორჩნენ ამ ადგილებს ძველებურად. არ ვიცი რა მოხდა მცირე ბიზნესის ხელშემწყობ ამ ჩვენს ქვეყანაში, თუმცა ის კი ცხადია, რომ იმ შვიდი მაღაზიის მომსახურე პერსონალი უთუოდ ხელმოცარული დარჩა და მათ უკან მდგომი გარკვეული რაოდენობის ადამიანებისგან შემდგარი ოჯახები კი – მშიერი. ეს ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი პაწია კუთხის პაწია მაგალითი მოვიყვანე, თორემ უმუშევრებს და მშივრებს რა დალევს ჩვენს ქალაქში, უფრო სწორად – ქვეყანაში. აი, ასე დავიწყე იმ დღეს ფიქრი,რომელიც კიდევ უფრო საშინელმა ინფორმაციამ შემაწყვეტინა. ამ ჯერზე სტიქიისაგან გამოწვეულ უბედურებას გვაუწყებდნენ... ხაშურის, სურამისა და რიკოთის მიდამოებში კოკისპირულ წვიმას, წყალ-ნიაღვარს და მეწყერს ადამიანების მსხვერპლი მოჰყოლია. ბუნების ასეთ კატასტროფულ მოვლენებს კარგა ხანია ადგილი აქვს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, სამხრეთსა თუ ჩრდილოეთში და ყველაფერი ეს დიდი მსხვერპლით მთავრდება. ბუნების ვერაგობას ეწირება ადამიანის ნაშრომ-ნაღვაწი, წყალს მიაქვს ნახნავ-ნათესი ყანები, იღუპება შინაური ფრინველი და პირუტყვი და ხდება უარესიც : იღუპებიან ადამიანები! სავალალოა ყოველივე ეს, ასეთი რამ განა უწინდელ დროში არ ხდებოდა? მაგრამ ყველაზე მეტად სავალალო ის არის, რომ ბუნების მოღალატურ თავნებობას და სიმკაცრეს ოცდამეერთე საუკუნის საქართველო ვერანაირად წინ ვერ აღუდგა და ჩვენს დაძაბუნებულ ეკონომიკას კიდევ უფრო საფუძვლიანად გამოუთხარა ძირი. არადა თუ პრაქტიკოს მეცნიერებს, მიწის, მთა-ბარისა და მდინარეების, ერთი სიტყვით, ეკოლოგიის მცოდნე პროფესიონალებს დავუჯერებთ, შეიძლებოდა თურმე ამ საკითხებისადმი ჭკუით, ცოდნით, ახალი ტექნოლოგიებით თავის დროზე მიდგომა და გამძვინვარებული ბუნების ასეთი საუბედურო შედეგების თავიდან აცილება. ამ პროცესის ხელიშემშლელი ერთ-ერთი საშუალება, რაც ჩემისთანა დილეტანტებმაც უმალ გავიგეთ, თურმე ტყეების მოვლა, მწვანე საფარის გაშენება და შემადგენლობის მიხედვით გამოლარიგებულ, ნაშენიანი მიწის ნაკვეთებზე უხეირო მშენებლობების აღკვეთაა საჭირო. არა და სწორედ თავის დროზე საეჭვოდ მიჩნეულ და ამდენად აკრძალულ ადგილებში მიმდინარეობს დღეს ჩვენს ქალაქში გამალებული მშენებლობები.

ტყეების მოვლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პარკების გაჩეხვის ხელოვნება მართლაც რომ სანიმუშოდ გვაქვს ათვისებული. ამაში ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია დარწმუნდეს და ამისთვის შორს წასვლა არ დასჭირდება, აგერ ვაკის პარკის დათვალიერებაც კი საკმარისია, რომ დარწმუნდეს როგორ მოიჭრა უკვე მოშენებული და გალამაზებული ხეები და სანაცვლოდ, რაღაც გაუგებარი მშენებლობაა წამოწყებული, ზოგან დამთავრებულიც. თავიდე წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ გაიფიქრა თუ რა რიგ სასიამოვნო იქნებოდა წიწვოვან და ფოთლოვან (ერთდროულად ორივე!) ხეების გარემოში საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრება და სახლიც აიშენა. ზოგმა სხვა რამ განჭვრიტა: სიმწვანით დაბურულ ასეთ ადგილებში ქეიფის მოყვარულები ფულზე უკან არ დაიხევენო და... რესტორანი ააშენა, განა მარტო ერთგან და ორგან?! ყველას როდი შეუძლია ასეთი რამის მოფიქრება!..

რა ხდება, ხალხნო! – ვიყვირებ ზოგჯერ ჩემთვის და იქვე ვხვდები ჩემს უძლურებას. დიახ, უძლურნი ვართ მე და ჩემისთანა გათითოებულნი და საბოლოოდ ერთი ვინმე მოქალაქენი. რა ეშველება ჩვენს ქვეყანას და რა გვეშველება ჩვენ, ხალხს? გასაჭირიდან გამოსვლისა ალბათ სულ მთლად არა, მაგრამ თეზა, რომელიც კარგა ხანია ჩამოყალიბდა ჩემს გონებაში აგერ ერთ-ერთ ტელეარხზე, ჭკვიან და გამოცდილ ეკონომისტისგანაც მოვისმინე და ახლა უფრო დაბეჯითებით ვიტყვი,რომ მთავრობა ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვერ გააკეთებს, მაგრამ იგი ვალდებულია შექმნას ისეთი გარემო, რომ ადამიანებმა ვერ შესძლონ თავიანთი ცუდი ბუნების წარმოჩენა! ვერ უნდა შესძლონ, თორემ ხომ ვიცით, რომ ადამიანის ბუნება ავისა და კარგისაგან თითქმის თანაბრად შედგება. ხომ ვიცით, რომ კეთილი და ბოროტის საწყისზეა აგებული, როგორც ორგანიზმი ადამიანისა, ასევე მისი სულიც (თუ შეიძლება ის აიგოს...ძ და გონიც!.. და თუ მართლაც ვიცით ადამიანის ორბუნებოვნება, მაშინ ამ ცოდნისკენ უნდა მივმართოთ ყველა სახის პოლიტიკა, ეს იქნება განათლება, კულტურა თუ საკუთრივ სახელმწიფოს მართვის პოლიტიკა.

პოლიტიკოსებს, მით უმეტეს სამთავრობო ეშელონებში მოხვედრილთ ჩემგან , რა საკვირველია, ეს არ ესწავლებათ, მაგრამ დღეის საქმე სხვაგვარად მიდის. „აღუვსებელი საწყაულისთვის“ შემოღებული მრავალფერ-გვაროვანი გადასახადების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, ხალხის მოტყუება, დაშინება და დატერორება ბაბილონის გოდოლის აშენებას უფრო ჰგავს, ვიდრე იმ ჰუმანურ და დემოკრატიულ ქვეყნის მშენებლობას, რომლისთვისაც ჩვენმა ხალხმა ბევრი ჭირვარამი გამოიარა და ახალი, სამართლიანი ცხოვრების იმედით აირჩია ეს მთავრობა. ვხედავთ, რომ იმედი სულ სხვა გზით მიემართება, ხალხის ცხოვრება კი სულ სხვა გზით. გადასახადების შესახებ უკანასკნელ ინფორმაციას თუ თვალს მივადევნებთ, ვერავითარ თადარიგიანობას, სამართლიანობას, და მთავრობის მხრიდან ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას ჩვენ იქ ვერ აღმოვაჩენთ. მეტად საინტერესოა ნაგვისა და დენის შეერთებული გადასახადის ძალიან ორიგინალური, განსაცვიფრებლად განსაკუთრებული და გამორჩეული იდეა. გამეცინაო, ამბობს ზოგიერთი, მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდეთ და გამოვიანგარიშე ადვილად მივხვდი ახლებური გადასახადის ავტორის იდეის მიზეზიც და დანიშნულებაცო. ჩვენც კარგად ვხვდებით ყოველივეს... და გულწრფელად ვამბობ, რომ არ მიხარია. მიხარია კი არადა, ძალიან მწყინს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი, საკმაოდ დიდი რაოდენობის ისედაც გაღარიბებული მოსახლეობის ჯიბეს აქამდე არსებულ გადასახადთან შედარებით აშკარად უფრო მეტად აკლდება, არამედ აშკარად და უფრო მეტად აკლდება მთავრობის ავტორიტეტსაც, აი ასეთი ნაბიჯებით დღითი დღე იზრდება უნდობლობა ხალხსა და მთავრობას შორის... ცხადია,უკვე კარგა ხანია დაწყებული ეს ეროზიული პროცესი ერთი და ორი მოქალაქის საზრუნავი არ არის!

ახლა უკვე ივნისის თვე იწურება, ამ თვეში დიდი ზარალი მოგვაყენა ბუნების შიგადაშიგ უცაბედმა გამძვინვარებამ. ვითომ არ უნდა გაგვიკვირდეს, ზოგჯერ იცის ასე მბრძანებელმა ბუნებამო, იგი ავის მქნელიაო (ზოგჯერო!ძ, გვეუბნება ვაჟა და როგორ არ დავიჯერებთ! გასულ მაისის თვეში კი თავად ადამიანები რომ „ახტნენ-დახტნენ“ და საკუთარი ძმისტომთა სისხლი დაღვარეს სადისტური ხერხებით, ხელ-ბორკილ დადებულების დაუზოგავი ცემა-ტყეპით, მერე, ასე წამებით გარდაცვლილნი მაღაზიის სახურავებზე შეყარეს, მიცვალებულიც კი არ დაინდეს, დაამცირეს და შეურაცხყვეს... ეს რომელ ბუნებას დავაბრალოთ... ნიღბოსნები იყვნენო... როგორ, საქართველოში ნიღბოსნებად იბადებიან? რომელმა მბრძანებელმა ბუნებამ გააცოფა ისინი და რატომ, რისთვის! ნუთუ ოცდაათ ვერცხლად გაყიდულები ასე მოუმრავლდნენ ქვეყანას?

რა გინდა რომ ქნა, მომრავლებულან და!..

ვინა ვართ ჩვენ, ათასი საუკუნეების მიღმიდან საკუთარი სისხლით და ოფლით გაპოხიერებულ მიწაზე მომავალი ქართველი ხალხი, ზოგჯერ გადამთიელ ველურ მტერზე გამარჯვებული, ზოგჯერაც შინაურით დამარცხებული, ზოგჯერ შეცბუნებული და თავჩაქინდრული, ზოგჯერ სიამაყით სახეგაბრწყინებული მოვდივართ ჩვენ და ნუთუ ისევ საუკუნეების მიღმა აღმოვჩნდით? ნუთუ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დაშვებული ჩვენივ საბედისწერო შეცდომები არ იყო საკმარისი ახალი გზის აღმოსაჩენად? ნუთუ ეს შეცდომები კვლავ, ბრმად უნდა გავიმეოროთ და არამც თუ გავიმეოროთ, არამედ ჩვენმა გამოზრდილმა ფილოსოფოსებმა ის ველურობის გადმონაშთი, – მოძმეთა (უბრალოდ ადამიანთაძ ცემატყეპით სულის ამოხდა, ულონოთა და უსულოთა შეგინება და დამცირება რაღაც გამოგონილი თეორიებით გაამართლონ კიდეც? მაშ, რა გზა გაგვივლია ჩვენ, ნუთუ დაიკარგა ჩვენი ისტორია, უკან ბნელეთი და წყვდიადია და წინ კი კვლავ ის გზა, რომელიც კარგა ხანია გავიარეთ?




მაისის კადრები, რომელიც უკვე ჩვენი ისტორიის შემზარავი და თავსლაფდამსხმელ სურათს ასახავს, სირცხვილით მწვავს და გულს მიკლავს. ყველაფერი ეს ხომ ჩემს სამშობლოში და ჩემს დედაქალაქში ხდება, იმ ქარიშხლიან ღამეს, გაასმკაცრებული ბუნება ცას ჭექა-ქუხილით გლეჯდა და მიწას თავსხმას უგზავნიდა. ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს მაინც ეძინა და ეძინა იმედით... ყველამ ვიცით ეს იმედი საიდან უნდა მოდიოდეს... უნდა მოდიოდეს და არ მოდის.

აქაც და იქაც, უკვე ყველგან მაისის იმ საშინელ ღამეზე ბევრი ითქვა, მაგრამ არა საკმარისად, რადგანაც არ ვიცით ამ საუბრებისა და შეძახილების შედეგი. არ ვიცით ქართველი ხალხი სადღაც კუნძულზე დავეკიდეთ, გავჩერდით, უკან წავედით თუ წინ გავაგრძელებთ გზას. ამაზე პასუხი უნდა მივიღოთ და თუ ჩვენ ამ პასუხს არ მოველით და არ მოვითხოვთ, მაშინ ჩვენ ხალხის ჯგუფებად დავრჩენილვართ და არავითარ ერად არ შევმდგარვართ. უბედურება, რომელიც თავს დავიტეხეთ თითოეულ ჩვენგანზე ნაწილდება. ნიღბიანები თუ უნიღბოები დღევანდელი საქართველოს ადამიანები არიან. ესე იგი, ჩვენთან, ჩვენს ოჯახებში, ჩვენს საგანმანათლებო დაწესებულებებში, სკოლებში დაიზარდნენ.

ოჯახი სახელმწიფოს ფუნდამენტია. ვაი იმ ქვეყანას, რომელიც მორალურად ჯანსაღ და მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახების უდიდეს რაოდენობას არ წარმოადგენს. ასევე ითქმის სკოლაზეც. სკოლაა სწორედ ჯანსაღი თაობების სამჭედლო, ქვეყნის მომავლის შუქურა და გზის გამკვალავი. ამდენად, იგი ფასდაუდებელი ტაძარია სახელმწიფოსთვის, განათლების სისტემის უპირველესი რგოლია. მთავრობა, რომელიც ზრუნავს ქვეყანაში ყოველმხრივ ძლიერი ოჯახების მომრავლებისთვის, ზრუნავს თავის ხალხის განათლებისთვის, კულტურისა და ჯანმრთელობისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ზრუნავს სახელმწიფოს ძლიერებისთვის. აი, აქედან იღებს სათავეს ხელისუფლების ავტორიტეტი. ხელისუფლების ავტორიტეტი კი საფუძველია ხალხის იმედისა, რომ მას იცავს სამართლიანი და მზრუნველი ხელისუფლება, აი, ასე მივალთ ჩვენ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე და არა შიშით, ძრწოლვით, წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ, შინაგანი ორგანოების მიერ საკუთარ ერში აღმოჩენილი თუ გამოაშკარავებული ტერორისტთა და სამშობლოს მოღალატეთა ახალ-ახალი ჯგუფებით. თუ მართლაც ეს ასეა, თუ მართლაც ამდენი მოღალატე და მტერი აღმოუჩნდა ჩვენს ქვეყანას, ვინ დაზარდა ისინი, საიდან გაჩნდნენ, როდის, რატომ.

მინდა რომ ჩემს სამშობლოში, ჩემს ნაშრომ-ნაამაგარ ოჯახში ღამე მშვიდად დავიძინო და მშვიდობიანი დილა გამითენდეს. სახლში, გზაში თუ სამსახურში შემხვედრი ადამიანები ჩემი სამშობლოს ერთგულებად, სამმართლიანობისა და პატიოსნების დამცველებად, დაუზარელ მშრომელებად მეგულებოდნენ.

უბრალოდ, მშვიდობა მინდა!

გულნარა სტურუა

ინფორმაცია

## კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სამი რეგიონალური მაუწყებელი გააფრთხილა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, სამი რეგიონალური მაუწყებლის გაფრთხილების საკითხი გავიდა.

საუბარია ქვემო ქართლის სამაუწყებლო კომპანია — „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიაზე“, ფოთის სამაუწყებლო ტელეკომპანია „მეცხრე ტალღასა“, და გურიის „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია, გურიაზე“.

სამივე ტელეკომპანიას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას ედავება. კერძოდ, ტელეკომპანიების დარღვეული აქვთ მხატვრული ფილმების ორიგინალ ენაზე, ქართული სუბტიტრებით გაშვების წესები.

ფილმების სამაუწყებლო ბადეში ორიგინალ ენაზე ქართული სუბტიტრებით განთავსების შესახებ „მაუწყებლობის შესახებ„ საქართველოს კანონში ცვლილებები 2009 წლის 31 ივნისს შევიდა; ამავე კანონის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2009 წლის 30 ოქტომბერს, სამაუწყებლო კომპანიების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, დაამტკიცა №3 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა სამაუწყებლო კომპანიების მიერ სამაუწყებლო ბადეში ქართულენოვანი სუბტიტრებით ორიგინალ ენაზე დასავლური წარმოების მხატვრული ფილმების განთავსების წესი და ოდენობა.

ჯი-ეიჩ-ენი

**გესლი ეკრანიდან**

# შეკითხვა მკითხველს: იცით როდის შეიქმნა ზღაპარი ქართულ პატრიოტიზმზე?

**შაბათს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გოგი გვახარიასა და ნოდარ ლადარიას დიალოგს ვუსმინ-ვუყურე. სამწუხაროდ, გადაცემის სახელწოდება არ ვიცი, სრულიად შემთხვევით, ალბათ, კარგა ხნის დაწყებულზე ჩავერთე. უბრალოდ, რაღაც ფრაზამ გამიქცია თვალი ეკრანისკენ.**

თვალი გამიქცია კი ღვარძლიანმა, ბოროტად გამოკვეთილმა ანტისაბჭოურობამ. ანტისაბჭოურობა რატომ უნდა მომხვედროდა ყურში საგანგებოდ, მაგრამ საქმე ის არის, რომ იქ ხაზგასმით იყო გამოკვეთილი სპეციალურად მორგებული მაგალითები, რომელთაგან... არც ერთი არ იყო სწორი და ნამდვილი.

აი ლადარია ლაპარაკობს საბჭოთა პერიოდის საყოველთაო ცხოვრებისეულ ცინიზმზე. მაგალითი მაკარენკოს „პედაგოგიური პოემიდან“ მოჰყავს და ტელემაყურებელს აცნობს ასეთ ეპიზოდს წიგნიდან: ცოლ-ქმარს ახალდაბადებული ბავშვი უკვდებათ. ისინი საავადმყოფოდან გამოსვლისას ლაბორატორიას გაივლიან, სადაც სპირტიან ქილებში ჩვილები ინახება. ქმარი მიუბრუნდება ცოლს და ამაყად ეუბნება, ჩვენი ყველას სჯობსო. შემდეგ ნ. ლადარია ამ „თვალსაჩინო“ ეპიზოდზე ჭკუამილმურ დასკვნას აკეთებს, საბჭოთა პერიოდში მთავარი იყო მოჩვენებითობა, შენს „ეჯობნა“ სხვისთვის, თორემ ბავშვი რომ მოკვდა, ამას ვინ ნაღვლობდაო.

ახლა წიგნში აღწერილ ამბავს დაუმახინჯებლად გავაცნობ მკითხველს: არასრულწლოვანთა კოლონიაში, რომლის გამგეც მაკარენკო გახლდათ (იგი ხარკოვიდან მოშორებით მდებარეობდაძ ერთ-ერთ აღსაზრდელ გოგონას მალულად ბავშვი შეეძინა. დედას შეეშინდა, რომ ბავშვის ხმა არ გაეგოთ და ჩვილი მოგუდა. ამბავი გახმაურდა. მთელი კოლონია თავზარდაცემულია. აღმზრდელები ერთ-ერთ ყმაწვილს ცხენის საზიდრით გააგზავნიან ხარკოვში და სათანადოდ შეფუთულ ბავშვის ცხედარს გაატანენ მილიციაში. იქ ბიჭი მილიციელის თანხლებით ლაბორატორიაში მოხვდა თავის საზარელ ტვირთიანად, სადაც კოლბებში შენახულ ექსპონატებს ნახავს. და აი, შინ დაბრუნებული თანატოლებს ხარკოვის შთაბეჭდილებებს უზიარებს, თავისებურად, პაცწურად და შედარებასაც ასეთივეს აკეთებს: ჩვენი (ანუ მიცვალებული ბავშვი, რომელიც მან ხარკოვში ჩაიტანაძ ყველაზე ლამაზიაო.

რა დამახასიათებელი ანტისაბჭოთა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ ამბიდან, თუ სპეციალურად არ დაამახინჯებ და არ გამოიგონებ?



ლადარია გვახარიას და, ამდენად, მაყურებელს უამბობს თავის ყველაზემძაფრ შთაბეჭდილებას საბჭოთა პერიოდის ერთ ტელერუბრიკაზე: თურმე საოცრად არ მოსწონდა, რომ ხშირად გამოჰყავდათ (ძირითადად აჭარიდანძ „შეუხედავი გმირი ქალები“, რომლებსაც 6-7 და მეტი შვილი ჰყავდათ, მაგრამ ვერავინ ამბობდა, რაში იყო მათი გმირობა.

ჩვენ გვესმის: რა თქმა უნდა, უფრო უპრიანი იქნებოდა „გმირი დედის“ რუბრიკით დროდადრო გამოეყვანათ ამ სულით ხორცამდე მახინჯი კაცის დედა, მაგრამ იმ დროის ქართველ ტელეჟურნალისტებს, ჩანს გამჭრიახობა და მოქნილობა არ ეყოთ (იქნებ არც ახლაა ამის გაკეთება გვიანი?ძ.

ზიზღით, სიძულვილით ლაპარაკობს იგი მრავალშვილიან ქართველ დედებზე, მან ვერ გაიგო (ჯიუტად არ სურს გაგებაძ იმ ქალბატონთა გმირობის არსი.

ამ თემაზე „განსაზოგადებლად“ ერთი რუსული საბჭოთა ფილმი მოჰყავს, სადაც ცნობილი მსახიობი ნატალია გუნდარევა 10-შვილიანი დედის როლს ასრულებს და აკეთებს „ფართო“, „ღრმა“ დასკვნას, რომ ამ ფილმში, სადაც არის გმირი დედა, არ ჩანს მამა, „მამა პრობლემურია“, გაურკვეველია რას აკეთებს გმირი დედის ქმარი“, „მას ვერავინ ხედავს“ და ქილიკობს, მამა „კრემლშია, სტალინთან არისო“...

ახლა ლადარიას მსგავსად ცინიკურად თუ ვიტყვით, ჯერ ერთი, მამა რას აკეთებს და ბავშვებს აკეთებს, რომლებიც ეკრანზე მართლაც მრავლად ჩანან. მაგრამ საქმე ის არის, რომ ფილმის რეჟისორს მამის „გამოუჩენლობაზე“ საყვედური ნამდვილად არ ეკუთვნის: მამა სწორედაც რომ დედის თანაბრად ჩანს ეკრანზე, მშვენივრად ჩანს, რომ ის ოჯახის თავკაცია. რისთვის სჭირდება ლადარიას სიცრუის მოგონება იმ იმედით, რომ ეს ფილმი, ისევე როგორც მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა“, არავის აღარ ახსოვს?!

ლადარიამ იმ დღეს ვრცლად ილაპარაკა, რომ „ინტელექტუალური ნაწარმოები რაიმე ახალს არ ქმნის“, რომ „იმდენად არ მოსწონს კინოფილმი „მონანიება“, რომ მასზე ლაპარაკიც არ უნდა, ანუ რუბიკა ხაჩიკიანისა არ იყოს, პროსტო კუშატ ნე მოჟეტ, რომ „ზღაპარი ქართულ პატრიოტიზმზე გასული საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა“ (აქ გოგი გვახარიამაც გადმოყარა თოხებივით კბილები და შეაშველა სიტყვა, მოსკოვში რომ ქართული კულტურის პირველი დეკადა მოეწყო იმ დროიდანოძ, რომ „ქართველები არასდროს შრომისმოყვარე ერი არ ყოფილა“ და ა. შ.

ერთი სიტყვით, ნოდარ ლადარიამ იმ დღეს გული იჯერა ბოროტი სიცრუითა და უკადრისის კადრებით.

მერე და ვის სჭირდება ეს? ალბათ, მხოლოდ თვითონ და მასავით დაქირავებულებს — ლუკმაპურის შოვნა ჭირს!

**სანდრო ალექსიძე**

**ჟურნალისტური გამოძიება**



# დაისაჯოს ის, ვინც დამნაშავეა კანონის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე!

***დაზარალებული** სახელმწიფო ბიუჯეტი, „მსოფლიო ბანკისგან“ ნასესხები და განიავებული ათობით მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მომავალი თაობების გასასტუმრებელია, უსარგებლოდ გაკაფული გომბორის ტყის 17 ჰექტარი, საიდანაც მიღებული ხე-ტყის მასალა რას მოხმარდა, საზოგადოებისთვის უცნობია, დიდი პომპეზურობით გახსნილი და მალევე გაფუჭებული საავტომობილო გზა...*

*მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს 2009-2011 წლების შიდა სახელმწიფოებრივი „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზაზე ჩატარებული სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ავკარგიანობა.*

ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე ჩვენმა სააგენტომ დეტალურად მოუთხრო მკითხველებს „საქართველოს რესპუბლიკის“ 2011 წლის 23 მარტის, 8 და 23 აპრილის ნომრებში გამოქვეყნებული მასალებით. ჩვენი პუბლიკაციებით მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობას შევახსენეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე და 263-ე მუხლების მოთხოვნები, რომელთა საფუძველზე მთავარი პროკურატურა ვალდებულია, საგაზეთო პუბლიკაციებში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე აღძრას სისხლის სამართლის საქმე.

მაგრამ მთავარ პროკურატურას არც უცდია ამის გაკეთება, რაც პირდაპირ ადასტურებს, რომ მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ ამით კიდევ ერთხელ საქვეყნოდ დაანახვა საზოგადოებას თავისი ნამდვილი, მ.სააკაშვილის ლაქიის სახე.

თუმცა ამ დანაშაულის არანაკლებ მთავარი მონაწილეები არიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელები (ყოფილი თავმჯდომარე — რამაზ ნიკოლაიშვილი, მისი მოადგილეები — გიორგი წერეთელი, ირაკლი ლითანიშვილიძ და პროექტის ავტორი — შპს „ტრანსპროექტი“ (დირექტორი — ტალი ტალიაშვილიძ. მაგრამ ისინი დაისაჯნენ კი არა, დღემდე არხეინად განაგრძობენ „აღმშენებლობითს“ საქმიანობას და ამისთვის კარგ ფინანსურ წახალისებასაც ღებულობენ.

არადა, „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის ე.წ. რეაბილიტირებულ-რეკონსტრუქცირებული გომბორის მონაკვეთი, როგორც მაღალი რისკის სამეწყერო ზონა, საავტომობილო გზის მშენებლობისთვის რომ არაფრით არ გამოდგებოდა, ამას თავის მეცნიერულ ნაშრომებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამტკიცებდა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი-გეოლოგი ვილჰელმ აბიხი. 1970-იან წლებში თავის ნაშრომებში ამასვე ამტკიცებდა ცნობილი ქართველი გეოჰიდროლოგი აკადემიკოსი იოსებ ბუაჩიძეც.

ყოველივე ამის მიუხედავად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (2009-2011 წლებში თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილიძ, როგორც ამ გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოთა დამკვეთმა, პროექტის შემსრულებელს შპს „ტრანსპროექტს (დირექტორი — ტალი ტალიაშვილიძ მისცა საპროექტო-ტექნიკური დავალება, რომელიც ამ ადგილას გზის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებდა.

პროექტი არა მარტო განიხილეს დეპარტამენტის ტექნიკურ საბჭოზე (და ეს მაშინ, როცა მას არ ჩატარებია სრული ტექნიკური და ეკოლოგიური ექსპერტიზაძ, არამედ ის საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს. სწორედ ამიტომ ტექნიკური საბჭოს ყოველი წევრი არანაკლებად დამნაშავეა და ისინი არანაკლები ლაქიები არიან.

პროექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვა (თუ ის საერთოდ არსებობს, ანუ გაცემულიაძ უკანონოა, ამ პროცესში მონაწილე ყველა სპეციალისტს კი სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული, რისთვისაც მათ მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი.

დიახ, ეს ასე უნდა მოხდეს, რადგან მათ ქვეყნის ინტერესების დაცვას პირადი მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილება ამჯობინეს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, რომელთა უტყუარობისა და სისწორისთვის მე, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს „დრო და სივრცის“ დირექტორი თენგიზ ჩხიკვაძე ვარ პასუხისმგებელი (თუ ეს არ დადასტურდება, მზად ვარ პასუხი ვაგო კანონით დადგენილი წესისამებრძ, მთავარი პროკურატურის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობისგან მოვითხოვ, რომ ისინი მოიქცნენ ისე, როგორც მათ ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუცია და სსს კოდექსი, ანუ შიდა სახელმწიფო საავტომობილო გზის „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტის გამო აღძრან სისხლის სამართლის საქმე.

**სწორედ** ამ გამოძიების მსვლელობის პროცესში გამოვლინდება, ვცრუობთ თუ არა ჩვენ — ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ და პირადად მე, მისი დირექტორი და ამ საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი თენგიზ ჩხიკვაძე.

დაე, დაისაჯოს ის, ვინც დამნაშავეა კანონის, ქვეყნის და ხალხის წინაშე!

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

**დედაქალაქი**

# შორია ეკვადორამდე...

ბოლო დროს თბილისში, რომელსაც სხვადასხვა ერის შვილთა საკუთრად მიღება საუკუნეთა მანძილზე აქვს გასისხლხორცებული, კიდევ მრავალი სხვა ქვეყნის შვილმა დაიდო ბინა, ვინც მანამდე არა თუ იშვიათად სტუმრობდა საქართველოს, არამედ მის შესახებ საერთოდაც არ სმენია.

დიდი ხანია, თბილისელებს აღარ გვიკვირს ჩინელების მაღაზიები, ქართულად საკმაოდ გამართულად მოლაპარაკე ინდოელები, პაკისტანელები თუ აფრიკიდან ჩამოსულები, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე უცხოელი სტუდენტები, რომლებიც ჩვენ ცეკვებსაც დიდებულად ცეკვავენ და სიმღერებსაც კეთილხმოვნად აგუგუნებენ...



მოკლედ აჭრელდა თბილისი სხვა ერის შვილთა ეროვნული ტანსაცმლით, რის მომსწრე გასულ კვირადღესაც გავხდით. რუსთაველის ძეგლის წინ ლამაზ ეროვნულ სამოსელში გამოწყობილმა ეკვადორელებმა სახელდახელო კონცერტი გამართეს, რომელმაც ბევრი თბილისელის თუ დედაქალაქის სტუმრის მოწონება დაიმსახურა. გამვლელთათვის მეტად სახალისო იყო იქვე ექსპრომტად გამართული ტრადიციულ ეროვნულ ნაკეთობათა ნაუცბათევი ბაზრობა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# რეფორმა საქართველოში

**საქართველოს 2012-2013 წლის არჩევნების უმნიშვნელოვანესი პერიოდი ელის. თომას დე ვაალი საქართველოს ეკონომიკისა და დემოკრატიის პერსპექტივებს აანალიზებს. მისი მტკიცებით, მიუხედავად საქართველოს მიერ რეფორმებისკენ გადადგმული ნაბიჯებისა, მმართველმა ელიტამ ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მდგრადი მოდელი შეექმნა. პასუხისმგებლობა კი იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა თავის მოქმედებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული იყოს, ვაშინგტონსა და ბრიუსელს ეკისრება.**

## რამდენად სტაბილური და დემოკრატიულია საქართველო?

საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში საინტერესო შემთხვევაა. ის ნონკონფორმისტია და ყოველთვის იყო განსხვავებული. ერთი მხრივ, მას პლურალიზმის ძლიერი ტრადიცია აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს არ არის იგივე, რაც სრული დემოკრატია. ამას უფრო ცოცხალი პარლამენტისა და თავისუფალი პრესის ტრადიციას ვუწოდებდი.

ამიტომ პარადოქსულია, მაგრამ ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შემდეგი ვითარების მოწმენი გავხდით – მისი ახალგაზრდა, მოდერნიზატორი, დინამიური მთავრობა, რომელმაც უამრავი რეფორმა წამოიწყო, როგორც ჩანს, ამავე დროს ერთპარტიულ ქვეყანას ქმნის. ოპოზიციური პარტიები საქართველოში სუსტია, ხოლო პარლამენტი ნაკლებად გავლენიანი. მთავრობა აკონტროლებს რეგიონალურ მთავრობებს და მთავარ სატელევიზიო არხებს, რომლებიც მას მხარს უჭერენ.

თუმცა საქართველო ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორებიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი, მაინც პლურალისტურია, მაგრამ ახლა 2012 და 2013 წლებში გარდამავალი ეტაპი იწყება და მმართველმა ელიტამ უნდა გაარკვიოს, როგორ განიახლოს საკუთარი თავი, ან იქმნება რისკი იმისა, რომ საქართველო კონსერვატიულ ერთპარტიულ ქვეყნად იქცევა.

მთავრობამ ბევრი თანამედროვე რეფორმა წამოიწყო, მაგრამ გამოჩნდა გადაჭარბების ნიშნები. მაგალითად, მთავრობამ 2003-2004 წ.წ. მემკვიდრეობით კორუფციისა და დანაშაულის უფრო მაღალი დონე მიიღო. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი რეფორმა იყო ის, რომელიც წვრილმან კორუფციას დაუპირისპირდა. თუ დღეს მართვის მოწმობის აღებას ან შვილის უნივერსიტეტში მოწყობას მოისურვებთ, საქართველოში ქრთამის გადახდა აღარ დაგჭირდებათ და ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალიან დიდი მიღწევაა.

მეორე მხრივ, პოლიცია ახლა უკიდურესად ძლიერია. ის საზოგადოებაში ყველაზე ძლევამოსილ ინსტიტუტად იქცა. ციხეები სავსეა, საქართველო პატიმართა რაოდენობით (ერთ სულ მოსახლეზე გათვლით) მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა შეერთებული შტატების, რუსეთისა და ორიოდე პატარა ქვეყნის შემდეგ. საქართველოს სასამართლოებში, სისხლის სამართლის საქმეებიდან მხოლოდ 0.04% სრულდება გამამართლებელი განაჩენით, ანუ მაჩვენებელი პრაქტიკულად ნულს უტოლდება. კორუფციისა და კრიმინალის დამარცხების პროცესში, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, საქართველომ გრძელი გზა განვლო იქითკენ, რაც მსუბუქად წაავგავს პოლიციურ ქვეყანას.

## რას გვეუბნება ბოლოდროინდელი საპროტესტო გამოსვლები მთავრობის პოპულარობის შესახებ?

25-26 მაისს თბილისის ქუჩებში ოპოზიციის ერთი რადიკალური ჯგუფი აშკარად ეძებდა პრობლემებს. მთავრობას მეორე დღეს დამოუკიდებლობის დღის აღლუმის გამართვა უნდოდა და დილისთვის ქუჩები თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით გასაგებია, რატომ უნდოდა მთავრობას გამთენიისთვის ქუჩების გათავისუფლება, მაგრამ ის, რაც მათ გააკეთეს, უკიდურესად სასტიკი აღმოჩნდა. ვიდეოჩანაწერზე ჩანს, როგორ მიიწევს წინ მძიმედ შეიარაღებული სპეცრაზმი, როგორ ულობავს გზას დემონსტრანტებს და სასტიკად სცემს. შედეგად იმ ღამეს დაიღუპა ოთხი ადამიანი, ორიოდე მათგანს, პოლიციელს, ოპოზიციის მანქანებმა გადაუარეს.

ეს საქართველოს მცდელობებს, უფრო მეტად ევროპული და ტოლერანტული იმიჯი შეიძინოს, კარგს არაფერს მოუტანს. ეს იმის სიმპტომიც იყო, რომ ჯგუფი, რომელიც დიდი ხანია ხელისუფლებაშია, კონტროლის მთავარ ინსტრუმენტად პოლიციურ ძალას იყენებს.

რა გვითხრა ამ მოვლენებმა მთავრობის პოპულარობის შესახებ? რეალურად ცხადი გახდა, რომ ოპოზიცია ძლიერი არ არის. პრეზიდენტი სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისევ დომინანტური ძალაა. მატულობს აპათია და შფოთი ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც სამომავლოდ კარგს არაფერს მოასწავებს.

## რატომაა მნიშვნელოვანი მომავალი არჩევნები?

საქართველო გარდამავალ პერიოდში შედის. მომავალ 2012 წელს პარლამენტის არჩევნებია, ხოლო 2013 წლის დასაწყისში – პრეზიდენტის. სწორედ 2013 წელს დაასრულებს სააკაშვილი თავის მეორე და ბოლო საპრეზიდენტო ვადას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან ამ დროს პოსტრევოლუციური თაობა უნდა განახლდეს.

რა გაკეთდა? მათ შეცვალეს კონსტიტუცია ისე, რომ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის დასრულებასთან ერთად ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობაც დასრულდება და ბევრ ადამიანს ეს უბრალო დამთხვევად არ მიაჩნია. გაჩნდება ახალი, ძლიერი პრემიერ-მინისტრი, რომელიც გადაიბარებს პრეზიდენტის ბევრ უფლებამოსილებას, ხოლო პრეზიდენტს უფრო სუსტი როლი დაეკისრება, ის უფრო საგარეო პოლიტიკით იქნება დასაქმებული.

ეს, რაღა თქმა უნდა, უამრავ კითხვას ბადებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ მუშაობს საარჩევნო სისტემა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ჩანს, პარლამენტის არჩევნებზე წარმატებას მიაღწევს, უმრავლესობას მოიპოვებს და მერე ახალ პრემიერ-მინისტრსაც აირჩევს. შედეგად კი შეიძლება ნაცნობი სურათი მივიღოთ. საქმე ისაა, გაბედავს კი მიხეილ სააკაშვილი ახალ პრემიერ-მინისტრად გახდომას. ტექნიკურად მას ეს შეუძლია, მაგრამ ამას ნამდვილად ექნება ცუდი გამოხმაურება და უცხოეთში მის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით კითხვებს გააჩენს.

## რამდენად ძლიერია საქართველოს ეკონომიკა?

საქართველოს უყვარს საკუთარი თავის წარმოჩენა, როგორც დიდი, წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისა. შესაძლოა გინახავთ კიდეც რეკლამა Financial Times-ში, Economist-ში ან CNN-ზე, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო მსოფლიოს ნომერ პირველი რეფორმატორია, მაგრამ ყველამ, ვინც საქართველოში ყოფილა და რეალობა უნახავს, იცის რომ ეს ძირითადად ჭკვიანური PR კამპანიაა.

საქართველოს ეკონომიკას დიდი პრობლემები აქვს. მთავრობამ განახორციელა რამდენიმე საჭირო რეფორმა, მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა პროცესის დასასრულისგან. არსებობს პრობლემათა ჩამონათვალი. ინფლაცია ახლა დაახლოებით 14%-ია, ხოლო ინფლაცია საკვებ პროდუქტებზე – 30%. მთავრობამ რეალურად უყურადღებოდ დატოვა სოფლის მეურნეობა. შედეგად კი დღეს საქართველოში, რომელიც ოდესღაც მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო, საკვები პროდუქტის 80% იმპორტირებულია. გარდა ამისა, უმუშევრობა ძალიან მაღალია – დაახლოებით 30% თბილისში.

## როგორია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ვარიანტები?

ამ ბოლო დროს ქვეყანასთან დაკავშირებით დაწერილ ანგარიშში, მე საქართველოს განვითარების შესაძლებლობების განსამარტად მაგალითად სამკუთხედი მოვიყვანე. პირველ კუთხეს „ძველი საქართველო“ ვუწოდე. როდესაც საქმე კულტურას ეხება, ყველას ვინც საქართველოში ჩადის, ძველი საქართველო ურჩევნია: საზოგადოება, ადამიანებთან შეხვედრა, არაჩვეულებრივი ძველი ტრადიციები და გასაოცარი ძველებური მართლმადიდებლური ტაძრები, მაგრამ როდესაც საქმე არა კულტურას, არამედ სოციალურ მოდელს ეხება, ყველაფერი ოჯახის გარშემო ტრიალებს, ეს კი ნიშნავს ნეპოტიზმს, იმისკენ მოწოდებას რომ ადამიანებმა უცხოეთში წასვლისგან თავი შეიკავონ.

ჩემი სამკუთხედის მეორე კუთხეს „სინგაპური“ დავარქვი. ამაზე პრეზიდენტიც ლაპარაკობდა. მან ის სთქვა, რომ „კავკასიაში სინგაპურის“ შექმნა სურს. აქ კიდევ არსებობს ულტრალიბერალური ჯგუფი, რომელიც ისე ფიქრობს, როგორც ბევრი შეერთებულ შტატებში – მასობრივი დერეგულაცია, ყველაფრის პრივატიზაცია და თავისუფალი ინვესტიციები მთელი მსოფლიოდან. ეს ის მოდელია, რომელმაც ევროპისა და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში წარმატებას მიაღწია, მაგრამ სხვა სექტორებში იგივე ვერ შესძლო.

ჩემი მესამე კუთხე იყო „ევროპის კავშირი“. ეს ხანგრძლივი პროცესია – ინსტიტუტების მშენებლობა, რეგულაციების შემოღება, სტანდარტების დაცვა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ნელა მიუახლოვდება ევროკავშირს. მსგავსი მოდელით განვითარდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნები.

საქართველოს მთავრობას თითქოს სამივე კუთხესთან აქვს ფლირტი – განსაკუთრებით სინგაპურსა და ევროკავშირთან, თუმცა რეალურად ვერ ჩამოყალიბებულა. სინგაპურისა და ევროკავშირის მოდელები საკმაოდ შეუთავსებელია. ერთი გულისხმობს მასიურ დერეგულაციას, მეორე – რეგულაციასა და ინსტიტუტების მშენებლობას.



## რომელი გზა უნდა აირჩიოს საქართველომ?

ჩემი დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ „სინგაპურიზაცია“ მიმზიდველად ჟღერს, საქართველო მაინც ძალიან აგრარული ქვეყანაა. ის არც ერთი თვალსაზრისით არ არის დიდი ცენტრი და სწრაფი მოდერნიზაციის შესაძლებლობებიც საკმაოდ მცირე აქვს. გეოგრაფიულად ეს ევროპული ქვეყანაა, მისი მეზობლები ევროპისკენ იხედებიან, მას დასაყრდენი სჭირდება, განსაკუთრებით რუსეთთან მისი პრობლემების გამო და ამიტომ ევროკავშირი მისთვის საუკეთესო მოდელი უნდა იყოს, მაგრამ ეს ნამდვილად გულისხმობს ძალაუფლების მონოპოლიის ნაწილის დათმობას და არა მართვის იმ არაფორმალურ სტილს, რომელიც მმართველ ელიტას მოსწონს, თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ ეს არის გეზი, რომელიც მათ უნდა აიღონ.

ამიტომ საქართველოს ამ თვალსაზრისით ბრიუსელისგან და შეერთებული შტატებისგან მეტი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება, კომუნიკაციის უკეთესი სტრატეგია. ეს მიდგომა, ცხადია, ბევრ მტკივნეულ რეფორმას მოითხოვს, რეფორმებს, რომლებიც საჭიროებს ფულს და რთულია მოსახლეობისთვის, მაგრამ მოსახლეობამ გვირაბის ბოლოს სინათლე უნდა დაინახოს და ამ გზას უნდა გაუყვეს.

## რა უნდა გააკეთონ შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ საქართველოს რეფორმირების დასახმარებლად?

საქართველო ძალიან უცნაური შემთხვევაა: მოსახლეობა აქ 5 მილიონზე ნაკლებია, საკმაოდ ღარიბი ქვეყანაა და უმეტესი სტანდარტებით დიდ ინტერესს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ის იწვევს დიდ ინტერესს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახალგაზრდა დასავლური განათლების მქონე ელიტამ ვაშინგტონში ბევრი მეგობარი შეიძინა.

2008 წლის ომის კატასტროფის შემდეგ, ურთიერთობა გარდაუვლად გაცივდა, მაგრამ ვაშინგტონში დღემდე ბევრია ადამიანი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს დახმარება სჭირდება და რომლებიც საქართველოს ერთგვარ ანტირუსეთად განიხილავენ. ეს განწყობები ჯერ კიდევ აღანთებს ენთუზიაზმს. დროა დავტოვოთ ეს ნარატივი და განვაცხადოთ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომელმაც ზოგიერთი კარგი რამ გააკეთა, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს უზარმაზარი პრობლემები. ის არავითარ შემთხვევაში არ არის მოდელი და არც დემოკრატიის შუქურა.

CARNEGIE ENDOWMENT

## დედამიწის ზურგზე



**ლონდონის თავზე, დღისით-მზისით ამოს ჯგუფი გადაიღეს**

ბრიტანეთის დედაქალაქის თავზე დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ რაღაც ნათელი ობიექტები. მათი გადამღები პირი ამტკიცებს, რომ უკვე ერთ კვირაზე მეტია თვალყურს ადევნებს „მოსულებს“. ობიექტები კამერაში აღმოჩნდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების ტელე-რადიო კორპორაციის შენობის გვერდით, მაგრამ პროფესიონალები მომხდარის ადგილზე არ აღმოჩნდნენ.

* * *

**სამხრეთ კორეას თავს დაატყდა ტაიფუნი: დაიღუპა 9 კაცი, სამი უგზოუკვლოდ დაიკარგა**



ქვეყანაში გააუქმეს ათობით საშინაო ავიარეისი. ხელისუფლების მონაცემებით, საერთაშორისო რეისებზე სტიქიას გავლენა არ მოუხდენია. როგორც ადგილობრივი ხელისუფლება იტყობინება, ნავსადგურებში მყოფ გემებს მიეცათ მითითება, არ გავიდნენ ზღვაში იმასთან დაკავშირებით, რომ სტიქიამ შეიძლება მორიგი დარტყმა მიაყენოს. ორშაბათს, როგორც ელოდებიან, ტაიფუნი თავს დაატყდება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპიროებს.

* * *

**აშშ-ში გადაბრუნდა სასკოლო ავტობუსი: საავადმყოფოში გაგზავნეს 25 ბავშვი და მოზრდილი**



ავარია მოხდა ამერიკის ქალაქ ჩემბერსბურგის (პენსილვანიის შტატი) ფედერალურ ტრასაზე. ბავშვების ასაკი – 9-დან 12 წლამდეა. ინფორმაცია დაღუპულების შესახებ არ არის. პოლიცია ცდილობს ავარიის მიზეზის დადგენას.

* * *

**კოლუმბიაში სავაჭრო ცენტრის შესასვლელში 8 კაცი დახვრიტეს**

თავდასხმაში მონაწილეობდა 10-დან 12 კაცამდე, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან მოქალაქეებს მიზეზის გამოუცხადებლად. 4 დაჭრილი საავადმყოფოებში გადაიყვანეს, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პოლიცია და სამხედროები ეძებენ დამნაშავეებს.

* * *

**ჩავესი, დაზვერვის მონაცემებით, პროსტატის კიბოთია ავად**

მისი თანამებრძოლები ამას აქტიურად უარყოფენ. „ეს რომ ასე იყოს,– განაცხადა, კერძოდ, ვენესუელის პარლამენტის ხელმძღვანელმა ფერნანდო სოტომ, – მე პირველი ვაცნობებდი ამის შესახებ ქვეყანას. მადლობა ღმერთს, ჩავესი ჯანსაღდება და აქ იქნება 5 ივლისისთვის“.



## საქართველოს ქალაქები

# ფოთი მეტ ყურადღებას იმსახურებს

**ამ წერილის გამოქვეყნების სურვილი 13-19 ივნისის გაზეთ „კვირის პალიტრის“ დანართში მოთავსებულმა სტატიამ აღმიძრა, რომლის სათაურია — „ფოთის საერთაშორისო აეროპორტის ეკონომიკური და ეკოლოგიური რისკები“.**

ვფიქრობ, სწორია დეპუტატი თეიმურაზ წურწუმია, რომელსაც მიაჩნია, რომ სამშენებლო ტექნიკის, კერძოდ კი, ნაგებობის ფუძე-საძირკვლების ამტანუნარიანობის ამაღლების თანამედროვე შესაძლებლობები გამორიცხავს ფოთის აეროპორტის საფარის არამდგრადობის საფრთხეს. რაც შეეხება ფრინველთა აფრიკა-ევრაზიის გადაფრენის ტრასისა და ეკოლოგიის სხვა საკითხების დაცვას, ეს პრობლემა, ალბათ, რამსარის საერთაშორისო კონვენციასთან პროექტის შეთანხმებით მოწესრიგდება.

მე, მაინც, სხვა რამეზე უნდა გავამახვილო ყურადღება. საქმე ის არის, რომ, ჩემი აზრით, ფოთი და მისი მიმდებარე ტერიტორია სხვა ქალაქებისა და რეგიონების კეთილმოწყობის ამჟამინდელ ფონზე, ცოტა არ იყოს, მივიწყებულად გამოიყურება. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე და ფოთის პერსპექტიული განაშენიანება-განვითარებაზე მუშაობა ხორციელდებოდეს. ერთი კი ცხადია, ეს ღონისძიება დაყოვნებას არ ითმენს. აღნიშნულის რეალიზაციას ფოთში საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა ნამდვილად წაადგება.

საქართველოს ეს შავიზღვისპირა ქალაქი, ჯერ კიდევ VIII საუკუნეშია მოხსენიებული, როგორც მნიშვნელოვანი ნავსადგური. მისი მნიშვნელობა, დროთა განმავლობაში, განუხრელად იზრდებოდა. ქალაქ ფოთის მდებარეობამ, ზღვის ზედაპირის დონისა და მდინარე რიონის შესართავის გათვალისწინებით, XIX საუკუნის ბოლოს დღის წესრიგში დააყენა მიმდებარე ტერიტორიისა და თვით ქალაქის დაცვა ჰიდროტექნიკური ღონისძიებებით. ამ და სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობას სათავეში ჩაუდგა სანაქებო პიროვნება, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე. ფოთმა, ამ გამორჩეული პატრიოტის თაოსნობით, დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც სამეურნეო საქმიანობაში, ისე კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნავსადგურის ტვირთბრუნვის ამაღლებას, მანგანუმის დატვირთვა-განტვირთვისა და ტრანსორტირების ღონისძიებების ორგანიზებას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ფოთში მივლინებამ მომიწია. ამ ქალაქს ადრეც ვიცნობდი, ახლა კი მეტად გავიცანი და მის შესახებ ჩემი შეხედულებაც ჩამომიყალიბდა.

ქალაქი როგორღაც იზოლირებულია ზღვისგან, ანუ იქ ყოფნისას ზღვას ნაკლებად გრძნობ. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ზღვა ქალაქს საგრძნობლად უტევს და ქალაქის კეთილმოწყობილი ნაწილის ზღვასთან კონტაქტი ზოგ ეკოლოგიურ (გნებავთ, ჰიდროტექნიკურ) პრობლემასთან არის დაკავშირებული. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამშენებლო ტექნიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კონსტრუირების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, შეიძლება ამ საკითხს სწორი გადაწყვეტა მოენახოს და ქალაქიც „ზღვაზე გავა“.



ფოთის ლანდშაფტის ორიგინალობამ განაპირობა ის, რომ ქალაქგეგმარების, არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხების გადაწყვეტა აქ გადაჯაჭვულია სამშენებლო ჰიდროტექნიკის თანამედროვე მიღწევების ეფექტურ გამოყენებასთან, თანაც იმდენად, რომ ეს საკითხები განმსაზღვრელ როლსაც კი ასრულებენ ქალაქის იერსახის ჩამოყალიბებაში.

დღევანდელი მდგომარეობით ქალაქ ფოთს პლაჟიც კი არა აქვს. არადა „მისი ზღვა“ და სანაპირო, თავისი სამკურნალო თვისებების მქონე ქვიშითა და წყლის სიდაბლით, საუკეთესო პირობებს ქმნის საზღვაო კურორტების ქსელისა და ტურიზმის განვითარებისთვის. სიტყვამ მოიტანა, და მინდა აღვნიშნო პალიასტომის ტბისა და მისი შემოგარენის უნიკალური ფლორა-ფაუნის ჩართვის მომგებიანობა ქვეყნის ტურიზმის საქმიანობაში.

მახსოვს, მივლინებაში ყოფნისას, მალთაყვის მხარეს, მდინარე კაპარჭინას შესართავთან, პატარა კერძო კეთილმოწყობილ სასტუმროში დავბინავდით. ულამაზესი ადგილის, ხარისხიანი მომსახურების, კეთილგანწყობილი ხალხის სიკეთე პლაჟმა გააუფერულა (თუ შეიძლება რომ მას პლაჟი ეწოდოს).

იმედს არ ვკარგავ, რომ ქალაქი ფოთი მონახავს (თუ მონახული არა აქვს) თავისი განვითარების გზას და იგი ახლო მომავალში წარმოგვიდგება როგორც მნიშვნელოვანი საზღვაოსნო თანამედროვე ქალაქი-კურორტი, დიდი სანავსადგურო ცენტრისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურით, კეთილმოწყობითა და, რა თქმა უნდა, შესაბამისი ტექნიკით.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი**

## ჭეშმარიტების ძიება

# როგორ ავიცილოთ კატასტროფები

**პირველი ცნობები კატასტროფების თეორიის შესახებ დასავლეთის პრესაში გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა. ჟურნალ-გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ თუ ნიუტონის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის თეორია იკვლევს უწყვეტ მდორე პროცესებს, კატასტროფების თეორია, პირიქით, იკვლევს ყველა იმ ნახტომისებურ წყვეტილ პროცესებს, რომელთა შედეგად ვიღებთ სისტემის მკვეთრ ხარისხობრივ ცვლილებებს. კატასტროფების თეორიის ფუძემდებლად ითვლება რ. ტომი, რომლის სამეცნიერო შრომები მასობრივი ტირაჟით დაიბეჭდა და ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.**

ისევე, როგორც გამრავლების ტაბულის ცოდნა ვერ აგვაცილებს თავიდან ჩავარდნებს ეკონომიკაში და ვერ დაიცავს მატერიალურ სახსრებს დატაცებისაგან, ასევე კატასტროფების თეორია ვერ დაგვიცავს კატასტროფებისაგან. ის ზოგადად გვიჩვენებს იმ სხვადასხვა მოვლენის საერთო კანონზომიერებებს, როცა ხდება სისტემის რეჟიმის ნახტომისებური პასუხი გარემოს შედარებით შეუმჩნეველ, მშვიდად, მდორედ მიმდინარე პროცესების შემთხვევაში. კატასტროფის თავიდან აცილება უფრო და უფრო რთულდება, როცა მისი მომასწავებელი ნიშნები აშკარაა. ამიტომ, უნდა შეგვეძლოს ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, გაურკვეველი და არასრულყოფილი წინასწარი მონაცემების საფუძველზე მოსალოდნელი კატასტროფის პროგნოზირება, რათა შევძლოთ მასზედ დროული რეაგირება. რაც უფრო ადრე გავატარებთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, მით უფრო ნაკლები ენერგიისა და სახსრების დანახარჯით შევძლებთ სასურველი შედეგების მიღებას და უბედურების თავიდან აცილებას (ან მიყენებული ზარალის მინიმუმამდე შემცირებას). სანიტარიასა და ჰიგიენას ნაკლები ხარჯები სჭირდება, ვიდრე ქირურგიას, თანაც პირველი ნაკლებ რისკთანაცაა დაკავშირებული და ყოველმხრივ უვნებელია. ასევეა ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში.

სისტემის განადგურება, კატასტროფა შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, სისტემის ინტენსიურ და ოპტიმიზაციის რეჟიმში ხანგრძლივად ფუნქნამ, ანუ, რაც უფრო დიდხანს ვამყოფებთ სისტემას მაქსიმალური დატვირთვის რეჟიმში (მაგალითად, ინტენსიური თევზჭერა, ბოლოს და ბოლოს, მიგვიყვანს არა მარტო თევზის რაოდენობის შემცირებასთან, არამედ წყალსატევის ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან), მით უფრო დიდი იქნება სისტემის წონასწორობის დარღვევისა და კატასტროფის ალბათობა.

მაშ, რა ვქნათ, როგორ დავიცვათ თავი მოსალოდნელი საფრთხისაგან? ამ კითხვის პასუხად კატასტროფების თეორია გვეუბნება, რომ ნებისმიერი სისტემის წონასწორობის და მდგრადობის შენარჩუნებისთვის საჭიროა სისტემაში **უკუკავშირის შემოტანა,** რომელიც განაპირობებს სისტემაში მიმდინარე პროცესების სტაბილიზაციას და მისი მდგრადობის განმტკიცებას.

კატასტროფების თეორია ამტკიცებს, **რომ ნებისმიერი სისტემის** (ეკონომიკური, ეკოლოგიური, ფიზიოლოგიური და ა. შ.) **მართვას უკუკავშირის გარეშე ყოველთვის მივყავართ კატასტროფისაკენ,** ანუ იწყება შეუქცევადი პროცესები, რომელთა მართვა უკვე შეუძლებელი ხდება, ანუ როგორც მოსახლეობა არის დამოკიდებული მთავრობისგან, ასევე ხელისუფლება უნდა იყოს პასუხისმგებელი თავისი ხალხის წინაშე და ხალხსაც არანაკლებ ჰქონდეს ვალდებულების გრძნობა სამშობლოს წინაშე. ასე რომ, ხალხის, მოქალაქეების უპასუხისმგებლობა ხელისუფლების პირთა უპასუხისმგებლობის ადეკვატურია. აქედან დასკვნა: ცალკეული პიროვნებები ან მართვის ორგანოები, რომლებიც იღებენ პასუხსაგებ გადაწყვეტილებებს, მატერიალურად და იურიდიულადაც დამოკიდებულნი უნდა იყვნენ ამ გადაწყვეტილებათა შედეგებზე, ე. ი. საჭიროა მართვის აპარატის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის როლის ამაღლება და მათთვის მკაცრი მოთხოვნების წარდგენა.

კატასტროფების თეორია გვასწავლის, რომ უკუკავშირის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სისტემის ნორმალური ფუნქციონირება. ცნობილია, რომ აგრესორები, რომლებიც იწყებენ ომებს, იწვევენ ნაციონალურ კონფლიქტებს და სხვა, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას და შიშს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამო, ანუ დარწმუნებულნი არიან, რომ დაუსჯელნი დარჩებიან. ანუ ყოველთვის და ყველგან ტრაგედიისა და უბედურების მიზეზია **დაუსჯელობის სინდრომი.**

ფიზიკის ელემენტარული კურსიდან ცნობილია, რომ ჰუკის კანონის თანახმად, მარტივ შემთხვევაში ლოკალურად სხეულის (ზამბარის) დაგრძელების სიდიდე მასზედ მოდებული ძალის პროპორციულია. მაგრამ რთულ სისტემაში ეს ურთიერთდამოკიდებულება ასეთი სწორხაზოვანი არ არის. იგი რთულ ხასიათს ატარებს და ხშირად პარადოქსულ შედეგებსაც გვაძლევს. ადამიანთა საზოგადოება კი რთულია და არაწრფივი სისტემების რიგს მიეკუთვნება. ამიტომ, ალბათ საინტერესო იქნება არაწრფივი სისტემის ზოგიერთი კანონზომიერების ცოდნა.

**1). თუ არაწრფივი სისტემა გარკვეული დროის განმავლობაში ნეგატიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაშინ მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის სჯობს, თუ ეს მდგომარეობა ერთხანს სტაბილური იქნება, ანუ ასეთ სისტემებში ცვლილებების დაწყება ფუნდამენტური და ხანგრძლივი მომზადების გარეშე გამოიწვევს გაუთვალისწინებელ და უმართავ პროცესებს. ამის მაგალითია უკანასკნელ 20 წელიწადში საქართველოში განვითარებული მოვლენები და თვით 26 მაისის ოპოზიციური გამოსვლები.**

**2). თუ თანდათანობით, გზადაგზა, დავიწყებთ ნეგატიური მდგომარეობიდან უკეთესისაკენ მოძრაობას, მაშინ სისტემის მდგომარეობა უფრო გაუარესდება და რაც უფრო ნელია უკეთესისაკენ მოძრაობა, მით უფრო სწრაფია მდგომარეობის გაუარესება. ანუ, რაც უფრო სერიოზულია ავადმყოფობა, მით უფრო სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო.**

**3). ნეგატიური მდგომარეობიდან ოპტიმალურისკენ წინსვლის დროს ღრმა და ძირეული ცვლილებების მიმართ სისტემის წინააღმდეგობა დღითი დღე იზრდება. მოქმედებას იწყებს კონსერვატიული ინერციული ძალები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ სისტემის თავდაპირველ მდგომარეობაში დასაბრუნებლად. ამიტომაც არის, რომ სისტემა არასაკმარის რადიკალურ ცვლილებებს უპასუხებს ძლიერი ტენდენციით ძველ რეჟიმში დასაბრუნებლად. ამითაც შეიძლება აიხსნას ჩვენში გატარებული ბევრი რეფორმის და ოპოზიციის ძალთა გამოსვლების წარუმატებლობა.**

**4). რეაქციული ძალების წინააღმდეგობა მაქსიმუმ უფრო სწრაფად აღწევს, ვიდრე სისტემა თავის ნეგატიურ, უარეს ექსტრემალურ მდგომარეობას. უკეთეს რეჟიმზე გადასვლა არასოდეს ხდება გაუარესების ეტაპის გაუვლელად. ამ პერიოდს მით უფრო მძიმე და დიდი დანაკარგები ახლავს, რაც უფრო დიდხანს სისტემა თავდაპირველ ნეგატიურ რეჟიმში (მაგალითად, საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი დამკიდრების პროცესი უფრო მტკივნეულია, ვიდრე ბალტიისპირეთისთვის, რომლებიც შედარებით ნაკლებ ხანს იყვნენ კომუნისტურ რეჟიმში).**

**5). მას შემდეგ, რაც სისტემა გაივლის უმძიმეს კრიტიკულ ეტაპს, რეაქციული ძალების წინააღმდეგობა სუსტდება და სისტემა შედარებით ჩქარი ტემპით იწყებს მოძრაობას ოპტიმალური მდგომარეობისაკენ.**

**6). ე.წ . უმწიფარი და სუსტად განვითარებული არამყარი სისტემა უფრო ადვილად გადადის ნეგატიურიდან პოზიტიურ პოზიციაში გაუარესების ეტაპის ხანგრძლივი პერიოდის გარეშე. ამიტომ მწვავე, ნეგატიური მოვლენები ხშირად გაუარესების კი არა, იმის ნიშანია, რომ სისტემა განიცდის ფუნდამენტურ ცვლილებებს. ამიტომ ამ ეტაპზე ნაჩქარევი დასკვნებისა და ზომების მიღებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიღოს. ამ ძირეული გარდაქმნების შემდეგ სისტემა თავისთავად ვითარდება თვითრეგულაციის პრინციპის თანახმად. ასე რომ, ნებისმიერი რეფორმის, გარდაქმნის მისაღწევად გვჭირდება რეფორმატორის სითამამე, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და ბრძენის წინდახედულება.**

არაწრფივი სისტემების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ამ ობიექტური კანონზომიერების გაუთვალისწინებლად შორს ვერ წავალთ. ამიტომ, ჩვენის მხრივ, ალბათ, საჭიროა გულისყურით და მთელი სერიოზულობით გავაანალიზოთ ეს დასკვნები და გავითვალისწინოთ ჩვენი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. თუმცა, ალბათ არ არის საჭირო სპეციალური მათემატიკური თეორიის ცოდნა იმის მისახვედრად, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების უგულებელყოფა, ასევე, არაკომპეტენტურობა და დაბალი პროფესიონალიზმი, თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობა, დაუსჯელობის სინდრომი, ადრე თუ გვიან, ნებისმიერ სისტემას კატასტროფამდე მიიყვანს, რადგან, „როცა იმას არ აკეთებ, რაც საჭიროა, საშიშროება თავს წამოყოფს დაუყოვნებლივ“... „და კაცთა მოდგმა რომ მიჰყოლოდა მუდამ ნატერფალს ბუნების მიერ დაწესებულს და ნაკარნახევს, ხალხს უკეთესი ექნებოდა ალბათ მერმისი“ (დანტე).

კატასტროფების თეორიის, როგორც ჭეშმარიტების ძიების ერთ-ერთი მეთოდის მთელი მომხიბვლელობა და მიზიდულობის ძალა ის არის, რომ, როგორც ვხედავთ, ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში და მთლიანად სამყაროში ერთიდაიგივე კანონები მოქმედებენ. რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ყოველივე ჩვენს ირგვლივ და ჩვენში არსებულიც განვითარების (ევოლუციის) ზოგად, უნივერსალურ კანონებს ემორჩილება.

**მედეა თავდიშვილი**

ძიუდო

# მალტური ნადავლი




**საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებმა გიორგი ვაზაგაშვილის ხელმძღვანელობით მალტის ქალაქ კოტონერაში 7 მედალი მოიპოვა.** ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვანო მამისაშვილი (55ძ და ბექა ღვინიაშვილი (81ძ, რომლებმაც ფინალში, შესაბამისად, ისკანდერ ტალიშინსკი (აზერბაიჯანიძ და ბოგდან ზუსკო (უკრაინაძ დაამარცხეს. მხოლოდ გადამწყვეტი ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ თამაზ კირაკოზაშვილი (60ძ, შალვა ჩოჩელი (90ძ და გიორგი ლაზუაშვილი (+90ძ, ხოლო ლევან გუგავა (73ძ და გურამ თუშიშვილი (90ძ ბრინჯაოს დასჯერდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. პირველობა 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლით რუსებს ხვდათ. თითო „ოქრო“ და „ბრინჯაოთი“ მესამე იყო იტალია. ჩოჩელის დამარცხებით მოპოვებული ერთადერთი ოქროთი ლატვიელები მე-4 ადგილს დასჯერდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

წყალბურთი

# რეპეტიცია „ოლიმპიკში“



**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ სამ დღეს გრძელდებოდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები, ასევე, აზიური თამაშების ჩემპიონები – ყაზახები და ბელორუსები მონაწილეობდნენ.** ჩვენმა მთავარმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში პირველად ითამაშა ნატურალიზებულმა ხორვატმა წყალბურთელმა ფრანიჩევიჩმა, წარმატებით ჩაამთავრა ტურნირი – სტარტზე ბელორუსებს სძლია 21:5, შემდეგ ყაზახეთს მოუგო – 11:6, ბოლო პაექრობაში კი ახალგაზრდა თანამემამულეებს დაამარცხა ფარ-ხმალი – 12:2 და 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. აზიელებმა ორი თამაში მოიგეს და მეორე ადგილი ერგოთ, ბელარუსებთან გამარჯვებით „ბრინჯაო“ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ერგო. ეს შეჯიბრება საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის გენერალური რეპეტიცია იყო ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩის წინ, რომელსაც 2 ივნისს მანჩესტერი უმასპინძლებს. ამ დღეს ქართველები ბრიტანელებს დაუპირისპირდებიან. მათი პირველი შეხვედრა თბილისში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა 9:3. მანჩესტერში ჩვენებს კუნძულელებთან პაექრობის 5-ბურთიანი სხვაობით წაგებაც ხელს აძლევთ პლეი ოფში გასასვლელად. რაც შეეხებათ ყაზახებს, ისინი 19 ივლისიდან ჩინეთში წყაბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვლენ, სადაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. ასე რომ, თბილისის ტურნირი ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ გამართული გენერალური რეპეტიცია იყო.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# ორ-ორი „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

**ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი – ასეთია ახალგაზრდა ქართველ ფალავანთა ევროპული მონაგარი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც მათ კონტინენტის პირველობაზე მოიხვეჭეს.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყვნენ ნიკოლოზ ცეცხლაძე (50 კგძ და საჩინო დავითაია (66 კგძ, მაგრამ გადამწყვეტ პაექრობებში მათ ვერ შეძლეს ვილაიათ გარამანლისა (აზერბაიჯანიძ და მაგომედ ჩუკალოვის (რუსეთიძ წინააღმდეგობის დაძლევა და მეორე ადგილებს დასჯერდნენ. მესამე ადგილები ზურაბ დათუნაშვილმა (74ძ და სანდრო დიხამინჯიამ (96ძ დაიკავეს.



რაგბი

# „შავი ზღვა“ თბილისში ჩამოიტანეს

**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დამთავრდა „შავი ზღვის თასის“ გათამაშება, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა.** აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ევროპის რაგბის ფედერაციამ 17-წლამდელთა კონტინენტის ჩემპიონატი სამ რეგიონულ პირველობად დაყო. აღმოსავლეთ რეგიონში 4 გუნდი მოხვდა, რომლებმაც „შავი ზღვის თასი“ გაითამაშეს. ნახევარფინალში ჩვენმა ბიჭებმა უკრაინის ნაკრები გაანადგურეს – 68:0, რუმინელებმა კი რუსებს აჯობეს – 19:7. გადამწყვეტ პაექრობაში პატარა „ბორჯღალოსნები“ მასპინძლებს დაუპირისპირდნენ. უპირატესობას მატჩის პირველი წუთებიდანვე სტუმრები დაეუფლნენ. მე-16 წუთისთვის ისინი 15:0 დაწინაურდნენ, საბოლოოდ 27:8 გაიმარჯვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილისთვის პაექრობაში რუსებმა უკრაინელებს აჯობეს – 52:3.

* * *

**საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრებმა ევროპის გრანპრის ეტაპზე, რომელსაც მოსკოვმა უმასპინძლა, მეოთხე ადგილი დაიკავა და სერიის საერთო ჩათვლაში საკუთარ მონაგარს 14 ქულა შესძინა.**

ქვეჯგუფში „ბორჯღალოსნებმა“ 5-დან 4 შეხვედრა მოიგეს (სძლიეს საფრანგეთს, რუმინეთს, უკრაინას და



უელსსძ და მხოლოდ ერთი პაექრობა დათმეს ესპანელებთან – 5:24. მარცხის მიუხედავად, ჩვენებმა 13 ქულა მოაგროვეს და ჯგუფში პირველი ადგილი ბურთების უარესი შეფარდებით პირენელეებს დაუთმეს. ნახევარფინალში ქართველი მორაგბეები პორტუგალიელებმა დაჯაბნეს – 24:10, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი კვლავ ესპანელებმა გვაჯობეს – 27:0. ფინალში ინგლისელებმა პორტუგალიელები დაამარცხეს – 24:12.

***გრან პრის სერიის ორი ეტაპის შემდეგ პირველ-მეხუთე ადგილებზე არიან:*** **ინგლისი – 36, ესპანეთი – 31, პორტუგალია – 30, საფრანგეთი – 27, საქართველო – 22 ქულა.**

**ლაშა დიდია**

თაღლითები

# მარათონი... მეტროთი

**მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადაზე მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხუთჭიდელთა გუნდის ლიდერი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და წინა ორი ოლიმპიადის პრიზიორი ბორის ონიშჩენკო საჯაროდ თაღლითობაში ამხილეს...**

## „ანტიათოსი“



**საგანგებო გამოძიებით დადგინდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ხუთჭიდელი დაშნის ვადაში ჩამონტაჟებული „გამარჯვების ღილაკით“ იბრძოდა. საქმე ის არის, რომ როცა ერთ-ერთი მოფარიკავის დაშნის წვერი მოწინააღმდეგეს ეხება, ელექტრული წრედი იკვრება და „დაჭრილის“ მხარეს ამის ნიშნად ნათურა ინთება. ონიშჩენკოს დაშნაზე შენიღბულად დამონტაჟებულ ღილაკზე თითის დაჭერით ამ ნათურის ანთება მოწინააღმდეგის შეუხებლადაც შეიძლებოდა. ინგლისელ ჯერემი ფოქსთან ფარიკაობისას ონიშჩენკომ ჩხვლეტა განახორციელა, მაგრამ ფოქსი უკან გახტა და დაშნა არ შეხებია, ნათურა კი მის ზურგს უკან აინთო... ინგლისელებმა პროტესტი შეიტანეს, ონიშჩენკოს დაშნა მსაჯებმა გამოითხოვეს დასათვალიერებლად და ყველაფერი გამოაშკარავდა.**

საბოლოო ანგარიშით, ყველა საბჭოთა ხუთჭიდელი, როგორც ცალკეული სპორტსმენი, ასევე მთლიანად გუნდი, დისკვალიფიცირებული იყო, მაგრამ ყველაზე უნიკალური მაინც საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელის, სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის შეფის სერგეი პავლოვის მიერ დანაშაულის აღიარება გამოდგა, რომელმაც ასევე ონიშჩენკოს სამუდამო დისკვალიფიკაციის შესახებ განაცხადა.

## ველოსიპედი, მანქანა, მატარებელი...

**სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ მოწინააღმდეგეზე უწესო ხრიკებით უპირატესობის მოპოვება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ონიშჩენკომდე დიდი ხნით ადრე დაიწყეს. მაგალითად, რიგით მეორე, 1904 წლის „ტურ დე ფრანსის“ ველორბოლის დროს, ერთ-ერთმა ფავორიტმა იპოლიტე ოკუტიურიუმ დისტანციის უმეტესი ნაწილის გავლა...** ავტომანქანის დახმარებით შეძლო: უკანა ბამპერზე მიბმული ძუა მას კბილებით ეჭირა! რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ამ თაღლითობამ ოკუტიურიუსს მაინც ვერ უშველა – მან მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. გამარჯვებულმა მორის გარინმა კი ყველა მოწინააღმდეგეს იმით აჯობა, რომ დისტანციის ნაწილი... მატარებლით გაიარა! თუმცა ეს მსაჯებს არ გამორჩენიათ და პირველი ოთხი ადგილის მფლობელები წესების დარღვევის ფორმულირებით სპორტს ჩამოაცილეს.

1904 წლის სენტ-ლუისის (აშშძ ოლიმპიადაზე მარათონული გარბენი ადგილობრივმა სპორტსმენმა ფრედ ლორცმა მოიგო, რომელმაც 31 კონკურენტს დაასწრო სტადიონზე მირბენა და ოქროს მედლის მიღებისთვისაც მზად იყო, როცა სტადიონზე... ავ-



ტომანქანა მსაჯებით მივიდა! იმდროინდელი წესებით, მსაჯები მანქანით მორბენლების პელეტონის წინ მოძრაობდნენ, რათა გზის მოჭრის მცდელობები აღეკვეთათ. მაგრამ ლორცმა ისეთ „წვრილმანებზე“, როგორიცაა 200-300 მეტრის „დახურდავება“, არ იკადრა, ავტომანქანა იქირავა და სტადიონამდე დიდი კომფორტითაც იმგზავრა.

მსგავსი რამ, 1980 წელს, ბოსტონის მარათონის დროს, კუბელმა როზი რუისმა გაიმეორა, ოღონდ მან დისტანციის დაახლოებით 40 კილომეტრი მეტროთი გაიარა, რის მოწმეებიც მსაჯებმა მოძებნეს.

## მორალური ინვალიდები

**რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თანამედროვე სპორტში ძალიან მომგებიანია, როცა სავსებით ჯანმრთელი სპორტსმენი თავს... სნეულად ასაღებს. მაგალითად, ნორვეგიის თხილამურებით რბოლასა და ბიატლონის ნაკრებების წევრთა ლამის ნახევარი ასთმითაა დაავადებული, როგორც საბუთებშია მითითებული. თუ როგორ არის საქმე სინამდვილეში, თავად ნორვეგიელთა გარდა არავინ იცის, მაგრამ ასთმით დაავადებულნი სათხილამურო ტრასას ჯანმრთელებზე სწრაფად რომ გადიან, ფაქტია, ექიმის ცნობა კი სპეციალური ასთმის საწინააღმდეგო წამლების მიღების უფლებას აძლევთ, რომლებიც, სხვათა შორის, დოპინგადაა მიჩნეული, რადგან სპორტსმენის ორგანიზმს ჟანგბადის უკეთ ათვისებაში ეხმარება. ამიტომ ასთმით დაავადების „სურვილი“ ყველა მოთხილამურეს აქვს, თუმცა ნორვეგიელებს ამ საქმეში ვერავინ ჯობნის.**

მაგრამ ცინიზმით ნორვეგიელებს ესპანელებმა „გადაუხურეს“, რომლებმაც პარაოლიმპიურ თამაშებზე კალათბურთის ნაკრები... სრულიად ჯანმრთელი სპორტსმენებისგან შეადგინეს! ეს სკანდალი სიდნეის თამაშებზე მოხდა, სადაც ესპანელებმა ოქროს მედლები დამაჯერებლად მოიგეს. მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ესპანეთის ნაკრების 12 წევრიდან 10... სავსებით ჯანმრთელი სპორტსმენი იყო, ავსტრალიაში კი ისინი გონებაჩამორჩენილებს „ასახიერებდნენ“... ესპანეთის ნაკრები დისკვალიფიცირებული იქნა, ხოლო უსინდისოდ მოპოვებული ოქროს მედლები სამარცხვინოდ ჩამოართვეს.

**ლალი ხუნდაძე**

სულთათანა

# ნელი ოქროპირიძე

ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა ულამაზესი ქალბატონი, მრავალმხრივი შემოქმედი და მოღვაწე, საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს სახალხო მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი, მოქანდაკე ნელი ოქროპირიძე.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1954 წლიდან იგი მუშაობდა მოსკოვში, მოქანდაკე ტომსკის სახელოსნოში, აღსანიშნავია იქ შესრულებული ქანდაკება – „დედობა“, რომელიც დაიდგა რუსეთის სხვადასხვა რეგიონის სამშობიარო სახლებში, ასევე კომპოზიცია „ცოდნა“, „ინდოელი ქალის ფიგურა“, კერამიკული ფიგურები: „ბავშვები ციგაზე“, „წერო და მელა“, „მაიმუნი და სარკე“, რომლებიც დაინერგა რუსეთის მრავალ წარმოებაში.

ქალბატონი ნელი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამხატვრო გამოფენებში. 1961 წლიდან ორგანიზებული იყო მისი ნამუშევრების არაერთი პერსონალური გამოფენა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თბილისში – „ბუნებრივი მასალების მინიატურები“, მსახიობთა სახლში, თბილისის სამხატვრო სალონში. მოსკოვში – მიღწევათა გამოფენაზე, ასევე საფრანგეთსა და იაპონიაში.

ქალბატონი ნელის ნამუშევრები იპყრობდნენ საზოგადოების, განსაკუთრებით მომავალი თაობის ყურადღებას, აღინიშნებოდა პრესაში და ტელევიზიით. მის ნაწარმოებებს მიღებული აქვთ არაერთი პრემია, ოქროს მედლები და სიგელები.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია მოსკოვის, თბილისის სახვითი ხელოვნების მუზეუმებში და იაპონიის, გერმანიის, აშშ-ის კერძო კოლექციებში.

1961 წლიდან ქალბატონი ნელი ოქროპირიძე ნაყოფიერად მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. მის მიერ დაარსებულია დიაფილმების წარმოება. არის დიაფილმების „გა-



ზაფხული მოვიდა“, „ექიმი თხუნელა“, „გაქვავებული ქალაქი“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და „თაგუნა ჩიკოს“ ტექსტებისა და ნახატების ავტორი; თოჯინური და მულტიპლიკაციური ფილმების სცენარისტი, მხატვარი და რეჟისორი: „დამაკვირდი“, „ნამდვილი მეგობრები“; არის პიესების ავტორი „გაქვავებული ქალაქი“ და „ზარმაცის სიზმარი“, რომლებიც დაიდგა თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში, ქუთაისისა და ჭიათურის თოჯინების თეატრებში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალბატონ ნელი ოქროპირიძეს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში. იგი ავტორია მრავალი მოთხრობისა და ზღაპრების კრებულისა. გამოცემულია წიგნი „ფანტაზია და მარჯვე ხელები“, სახელმძღვანელო ბავშვებისა და პედაგოგებისათვის – „მხიარული კარნავალი“, „გამოსაჭრელი ნიღბები“ და მრავალი სხვა, შექმნილი აქვს ათეულობით რბილი თოჯინა.

ქ-ნი ნელი მონაწილეა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სიმპოზიუმებისა იაპონიაში, რუსეთსა და საფრანგეთში.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ქ-ნი ნელი აქტიურად თანამშრომლობდა ქვეყნის გამომცემლობებთან, ჟურნალ-გაზეთებთან და ტელევიზიასთან. იყო საბავშვო რედაქციის მთავარი მხატვარი და სატელევიზიო გადაცემათა ციკლის „ფანტაზია და მარჯვე ხელების“ ავტორი და წამყვანი.

წლების მანძილზე ქალბატონი ნელი მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში.

1960 წლიდან იგი იყო საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს უცვლელი წევრი.

ქალბატონ ნელი ოქროპირიძეს მინიჭებული აქვს „საქართველოს სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდება, დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელით, ბუნების დაცვის ოქროს მედლით, არის „ღირსების ორდენის“ კავალერი.

წავიდა ჩვენგან უაღრესად ნიჭიერი, შრომისმოყვარე შემოქმედი. გულისხმიერი, ტკბილმოუბარი ადამიანი და კეთილი მეგობარი. მოსიყვარულე დედა და ბებია. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ნათესავებსა, მეგობრებსა და კოლეგებს შორის.

საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი,
თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია

# სახალხო მხატვარი



საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, ღირსების ორდენოსანი, პროფესორი ნელი ოქროპირიძე.

ქალბატონი ნელი საინტერესო ფერწერული ტილოების, ბუნებრივი მასალებისაგან შექმნილი მინიატურების, საბავშვო წიგნების მხატვრობის, ხელგარჯილობის სასკოლო სახელმძღვანელოების და მულტიპლიკაციური ფილმებისთვის შექმნილი ნახატების, პოპულარული საბავშვო ტელე-გადაცემის – „გამრჯე ხელები“ – ავტორი და წამყვანი იყო.

ნელი ოქროპირიძის შემოქმედებამ ღრმა კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში.

ღვაწლმოსილი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის, ნორჩ შემოქმედთა დიდი მეგობრისა და საქართველოს ქალთა საბჭოს აქტიური წევრის, ქალბატონ ნელი ოქროპირიძის სახელი ნათელ ხსოვნად დარჩება მეგობრებს, შემოქმედებით ინტელიგენციას, ქართველ საზოგადოებას და ქალთა საბჭოს თითოეულ წევრს.

საქართველოს ქალთა საბჭო



გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი, ნიჭიერი მხატვარი, ჭეშმარიტი მოქალაქე, უსაყვარლესი ადამიანი – განსაკუთრებით ბავშვებისთვის, რომელიც ბავშვებს სიხალისეს გვრიდა და სიყვარულს შთააგონებდა, საქართველოს სახალხო მხატვარი ნელი ოქროპირიძე.

მისი მრავალმხრივი ნიჭი მის ნამუშევრებში აისახება – ქანდაკება, წიგნის გაფორმება და ილუსტრაცია, კინო-სატელევიზიო ილუსტრაცია. „ქართულ ფილმში“ მან დააარსა დიაფილმების წარმოება. გამოსცა წიგნი „ფანტაზია და მარჯვე ხელები“, სახელმძღვანელო ხელმარჯვე ბავშვებისა და პედაგოგებისთვის. ნელი ოქროპირიძემ პერსონალური გამოფენები მოაწყო – თბილისი, მოსკოვი, ტოკიო, საფრანგეთი. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთის, გერმანიისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში.

ნელი ოქროპირიძე მუშაობდა გამომცემლობა „საქართველოს“ სახვითი და ნოტების რედაქციის გამგედ, „ქართულ ფილმში“, ხოლო ტელევიზიაში იყო საბავშვო სატელევიზიო გადაცემათა ციკლის – „ფანტაზია და მარჯვე ხელების“ ავტორი და წამყვანი. ის აგრეთვე კითხულობდა ლექციებს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება არაჩვეულებრივ ქალბატონს, ნიჭიერ შემოქმედს და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

ისტორიის საიდუმლოებანი

# ნახატი გარდამოსასხამზე

**ტურინის გარდამოსასხამის საიდუმლო, რომელშიც, გადმოცემით, ჯვარცმის შემდეგ მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, რის ანაბეჭდიც ქსოვილს დაემჩნა, მკვლევარებს უკვე რამდენიმე საუკუნეა მოსვენებას არ აძლევს. მთავარი კი იმის გარკვევაა, მართლაც არის ის ტილო, რომელშიც ჯვრიდან გარდამოხსნილი ქრისტე იყო გახვეული თუ შუა საუკუნეებში გაკეთებული ოსტატური გაყალბებაა?**

ამის თაობაზე მრავალი ვერსიაა წამოყენებული, მაგრამ მათგან ბოლო, რომლის ავტორია ვენეციელი ისტორიკოსი და რესტავრატორი **ლუჩანო ბუზო,** ყველაზე მოულოდნელია და უჩვეულო. მისი აზრით, ქსოვილის **ის ლეგენდარული ნაჭერი, რომელიც ტურინის გარდამოსასხამის სახელითაა ცნობილი, არც ორიგინალია, არც სიყალბე, იგი რეალური გარდამოსასხამის ზუსტი ასლია.** ასლის ავტორი კი **ჯოტო დი ბონდონეა,** აღორძინების ეპოქის სახელოვანი იტალიელი ფერმწერი.

– ბაცი ყავისფერი მღებავი ნივთიერებით, სეპიით გაკეთებული ჯოტო დი ბონდონეს ხელმოწერას მივაგენი, რომელიც ქსოვილის ფერს ეხამება, ასევე ციფრი „15“ ვნახე, – განაცხადა რესტავრატორმა. – უნდა ვიფიქროთ, რომ ეს რიცხვი თარიღის, 1315 წლის ფრაგმენტია, რა დროსაც მხატვარმა წმიდა რელიქვიის ასლის დამზადების დაკვეთა მიიღო. ეს თარიღი არ ეწინააღმდეგება თანამედროვე რადიონახშირბადის ანალიზის შედეგებს, რის თანახმად გარდა-



მოსასხამი მე-14 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. **თავად ჯოტოს ფაქსიმილეს მანამდე იმიტომ ვერ მიაგნეს, რომ მხატვარმა იგი ქრისტეს სახისა და ხელების გამოსახულებაში დამალა.** ხელმოწერა შეუიარაღებელი თვალით უხილავი ფუნჯის რთული მოსმებითაა შესრულებული.

მაგრამ ისმება კითხვა: მაშ, სადაა გარდამოსასხამის ორიგინალი? ლუჩანო ბუზოს თქმით, ის ტილო, რომელშიც მართლა იყო გახვეული მაცხოვრის ცხედარი, შესაძლოა დროთა განმავლობაში „გაილია“, „დადნა“. არც ისაა გამორიცხული, რომ მას შემდეგ, რაც ჯოტომ ასლი დაამზადა, გარდამოსასხამი გაანადგურეს. დასაშვებია ისიც, **რომ ეს საიდუმლო წმინდა ტახტისთვისაც იყო ცნობილი, რის გამოც ვატიკანი ჯიუტად არ აღიარებს ტურინის გარდამოსასხამის სინაღდეს.**

უნდა ითქვას, რომ რელიქვიის ასლის დამზადების საიდუმლო მისიის შესასრულებლად ჯოტოზე უკეთესი ვინმეს მოძებნა ძნელი იყო, იგი თავისი დროის ყველაზე ცნობილი და ნიჭიერი მხატვარი იყო, მას ეკლესიაც ენდობოდა.

– ცხადია, მას გარდამოსასხამზე ხელი ასე მალულად არ უნდა მოეწერა, – განაგრძობს ისტორიკოსი. – მაგრამ ასეთი უდიდესი ქმნილების შექმნისას ისტორიისთვის საკუთარი სახელის შემონახვის ცდუნებამ, როგორც ჩანს, ყველა სხვა გრძნობას აჯობა.

ერთი კია: სინიორ ლუჩანო ბუზოს განცხადებას ექსპერტები გარკვეული ეჭვით შეხვდნენ, რადგან ჯოტოს ფაქსიმილეს ფოტო ჯერჯერობით არსად გამოუქვეყნებიათ.

ლალი ხუნდაძე

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის ვეტერანი თანამშრომლის

გურამ ლავრენტის ძე კაკულიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ ახვლედიანი, ნოდარ მგალობლიშვილი, გურამ გომართელი, გივი მესხიშვილი, რეზო მხეიძე, ირაკლი ჟორდანია, გურამ ღოღობერიძე, თამაზ შილაკაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

რამაზ ღამბაშიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

## უბედური შემთხვევის შედეგად 22 წლის ლევან ზაკალაშვილი გარდაიცვალა

**კახეთის** საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ახალგაზრდა სამსახურიდან მივლინებით სვანეთში იმყოფებოდა. საპროექტო სამუშაოების წარმოების დროს მას დენმა დაარტყა.

დაშავებული ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გარდაცვლილს გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითში დაკრძალავენ.

## შიდსის ვირუსმა კიდევ ერთი ადამიანი იმსხვერპლა

**საქართველოში** შიდსის ვირუსით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ეს უკვე აივ-ინფექციით ივნისის თვეში პაციენტის დაღუპვის მე-5 ფაქტია.

სპეციალისტების თქმით, როგორც უმეტეს შემთხვევაში, 35 წლის მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი ამჯერადაც დაგვიანებული მკურნალობა გახდა. დაღუპული შიდა ქართლის რეგიონიდან იყო.

წელს საქართველოში შიდსის ვირუსით 56 ადამიანია გარდაცვლილი.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

## დაიჯესტი

### სად კალიები, სად ჩვენ!

**თურმე ნუ იტყვით და გენიტალიების ზომის მხრივ, ცოცხალ ბუნებაში რეკორდსმენი... კალია ყოფილა! მისი „მამაკაცური მოწყობილობის“ მასა სხეულის წონის 14 პროცენტს შეადგენს. საინტერესოა, რაშია საქმე?**



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გამრავლების აქტის დროს Platycllis affonis-ის სახეობის კალიები სპერმის სითხეს იმავე ოდენობით გამოყოფენ, რამდენსაც მათი მონათესავე სახეობები. ამდენად, გადიდებული ტესტიკულები, რომლებიც ჭარბ სპერმატოზოიდებს გამოიმუშავებენ, ამ სახეობის კალიებს „დონჟუანობის“ მეტ პოტენციალს ანიჭებს და უფრო მრავალრიცხოვანი შთამომავლობის დატოვების საშუალებას აძლევს.

სხვათა შორის, ადამიანის „გამოძერწვისას“, დედაბუნება სხვანაირად მოიქცა: ერთი სქესობრივი კონტაქტის დროს ჩასახვისთვის საჭიროზე მილიონობით მეტი სპერმატოზოიდი გამოიფრქვევა. ამდენად, ჭარბი სითხის გადაცემით, მამაკაცი შთამომავლობის ყოლის შანსებს ზრდის.

### სხვაზე ბევრად ძვირი, მაგრამ არაფრით განსხვავებული

**თავის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ პროდუქციას, უმთავრესად ექსკლუზიურ საბანაო კოსტიუმებს, ფრანგული „ვილბრეჟინი“ უშვებს.** საფრანგეთის ფეშენებლურ კურორტ სენ-ტროპეზში 40 წლის წინათ დაარსებული ფირმის მაღაზიები, სადღეისოდ მყიდველთათვის გახსნილია მონაკოში, ლონდონში, პარიზში, რომში, ნიუ-იორკში, მათი პროდუქციის ღირებულება კი დაახლოებით 300 ევრო შეადგენს. ერთი შეხედვით, „ვილბრეჟინის“ საბანაო კოსტიუმები სხვა ფირმების ანალოგიურ პროდუქციისგან დიდად არ განსხვავდება, მაგრამ, რომ იტყვიან, ბედი მომეცი და თუ გინდა სანაგვეზე გადამაგდეო — ყველაზე ელიტურად მაღალ საზოგადოებაში სწორედ ამ ფირმის ნაწარმია მიჩნეული.



### თემიდას მანჭვები

**1474 წელს ქალაქ ბაზელში... მამალი გაასამართლეს, რომელსაც ბრალად დასდეს, რომ მან... კვერცხი დადო. მამალს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ამ შემთხვევის მსგავსი ბევრია აღწერილი შუა საუკუნეების ქრონიკებში.**

მსგავსი პროცესების უმრავლესობა საფრანგეთში გაიმართა, სადაც სიკვდილით მსხვილფეხა რქოსან საქონელსაც და ცხენებსაც სჯიდნენ. გერმანიაში კი 1796 წელს სულაც ცოცხლად დამარხეს ხარი, რომელზეც ეჭვი მიიტანეს, რომ საქონლის საყოველთაო დაავადებაში იყო „გარეული“

ცხენებს ნაკლებად ერჩოდნენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1389 წელს სიკვდილი მიუსაჯეს ცხენს, რომელმაც კაცი გათელა. 1610 წელს კი პარიზში ცხენი პატრონიანად გაასამართლეს, რომელმაც მას რამდენიმე საცირკო ფოკუსი ასწავლა. ორივე კოცონზე დაწვეს.



შუა საუკუნეების სასამართლოების მსხვერპლად იქცნენ ჩვეულებრივი ჭიაყელები, რომლებიც ბერნში გაასამართლეს 1451 წელს, ციურიხში კი მაისის ხოჭოებს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

### ძაღლის ყნოსვიანი ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია

**ახალი ზელანდიის სიმბოლოა ფრინველი კივი. იგი იმითაა განსაკუთრებული, რომ... მონადირე ძაღლის დარი ყნოსვა აქვს. ეს დასკვნა კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიოლოგმა, დოქტორმა ბეტი ვენზელმა გამოიტანა მას შემდეგ, რაც ამ უფრთო ფრინველებს ახალი ზელანდიის ნაკრძალებში სწავლობდა.**

ერთ-ერთი ცდა იმაში მდგომარეობდა, რომ ნიადაგში სამ ღრმულს აკეთებდნენ, ერთში საკვებს დებდნენ, ორში კი მარტო მიწა იყო. ზემოდან ყველა ორმოს ნეილონის ბადეს აფარებდნენ და მიწას აყრიდნენ, რათა ორმოების შიგთავსების გაგება არც გემოთი, არც „შეხებით“ არ ყოფილიყო შესაძლებელი.



კივი შეუცდომლად ირჩევდა იმ ორმოს, სადაც საკვები იყო დამალული.

დოქტორი ვენზელი აღნიშნავს, რომ კივი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც ნესტოები ნისკარტის წვერზე აქვს, ყველა დანარჩენს კი ისინი ნისკარტის ფუძეში აქვთ განთავსებული. ეს ნესტოები ძალიან წვრილია, ამიტომ ისინი მიწით არ იჭედება, როცა ფრინველი ნისკარტით საკვებს ეძებს, ხოლო თუ ეს მაინც მოხდა, ცხვირის ჯირკვლები მას „გამორეცხავენ“. ამასთან, კივის საკმაოდ ცუდი მხედველობა აქვს.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● 35 წლის სირიელმა ნაჯიბ სადიმ თავის მოკვლა გადაწყვიტა და წერილი დატოვა: ისე ბედნიერი ვარ, რომ მომავალი უბედურების შიშის გამო ვიკლავ თავსო.

● რომაელი მხედართმთავარის სციპიონ აფრიკელის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გააკეთეს: „უმადურო სამშობლოვ, შენ ვერასდროს ვერ მიიღებ ჩემს ძვლებს“.

● ტუტანხამონი ეგვიპტელ ფარაონთაგან ერთადერთია, ვინც ჯერ კიდევ თავის სარკოფაგში განისვენებს.

● ძველ საბერძნეთში კრედიტორი მევალის მიწაზე სპეციალურ დაფას დგამდა იმის აღსანიშნავად, რომ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მიწა მის საკუთრებაში გადავიდოდა — დაფას ჰიპოთეკა ერქვა.

● ძველი სლავების სოფლებში გლეხები ხელწერილის მაგივრად ხის ჯოხებს იყენებდნენ. თუ გლეხი ისესხებდა 3 ტომარა ხორბალს, ის მოკლე ხის ჯოხს გამოთლიდა, რომელზეც 3 ნაჭდევს აკეთებდა. ასეთი „ხელწერილისთვის“ დასრულებული სახე რომ მიეცა, მევალე ჯოხს სიგრძეზე 2 ნაწილად ყოფდა. ერთ ნაწილს აძლევდა იმას, ვისგანაც ხორბალს ისესხებდა, მეორეს კი თვითონ იტოვებდა.

● ძველ რუსეთში ვალის ურჩ გადამხდელს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ამათრახებდნენ. მას დაუნდობლად ექცეოდნენ, აიძულებდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეყვირა, იქ დამსწრე ოჯახის წევრებს, ნათესავებს თუ მეგობრებს შეჰბრალებოდათ და მისი ვალის გადახდა თავად ეკისრათ.

● შუა საუკუნეებში არაბებს ვალის პროცენტით გაცემა ეკრძალებოდათ, მაგრამ კანონისთვის გვერდის ავლას მაინც ახერხებდნენ. მაგალითად, მოწმეების თანდასწრებით მყიდველი გამყიდველთან დებდა ხელწერილს, რომ 1200 დინარად მონას ყიდულობდა და ვალდებული იყო ეს თანხა ერთი წლის შემდეგ გადაეხადა. მყიდველი იქვე კვლავ მიჰყიდდა იმავე მონას ძველ პატრონს 1000 დინარად, ოღონდ ნაღდ ფულად. ასე რომ, მყიდველი იღებდა 1000 დინარს ვალად, ხოლო ერთი წლის შემდეგ 1200 დინარს უკანვე ჩაასესხებდა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 — +29 |
| ქუთაისი. | +17 — +28 |
| ბათუმი. | +19 — +26 |
| ზუგდიდი. | +17 — +29 |
| თელავი. | +17 — +28 |

## კადრი



## ანეკდოტები

— რატომ არ შეიძლება? თვითონ არ მეუბნებოდი, ჩემი სახლის კარები შენთვის მუდამ ღიააო?

— ჰო, მაგრამ, ეს მაშინ, როცა ჩემს სახლში ხარ.

* * *

ვარიაციები ქორწინების თემაზე.

ქალი თავისი ტვინის მხოლოდ 3 პროცენტს იყენებს, მაგრამ მამაკაცს მთელი 100 პროცენტით კი უზურლავს ტვინს.

* * *



ცოლიანი და უცოლო პოლიციელები მკვლელობის საქმეს იძიებენ.

— გასაგებია, რომ იმ კაცმა ის ქალი მოკლა, მაგრამ მკვლელობის მოტივი გაუგებარია. — ამბობს უცოლო.

— რა არის გაუგებარი? ისინი ხომ დაქორწინებულნი იყვნენ! მეტი რა მოტივი გჭირდება?..

* * *

სოლომონ ბრძენი ამტკიცებდა, მსოფლიოში ყველა ცოლი უვარგისიაო. ეს არასწორია. არსებობს მხოლოდ ერთადერთი ცუდი ცოლი, და ნებისმიერი მამაკაცი დარწმუნებულია, რომ სწორედ მისია ასეთი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24